1930 წ. №№ 1, 2 F569 3158
31/63
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

საბჭოთა უნივერსიტეტის ხმა

№ 1
13 თებერვალი 1930 წელი
ტფ. სახ. უნივერსიტეტის პარტ. ბიურო კოლექტივის, გამგეობის, ადგილკომის და სტ. აღმას. ბიუროს ორკვირეული ორგანო

ჩვენი ამოცანები

თუ ჩვენმა უმაღლესმა სასწავლებელმა გადაწყვიტა საკუთარი ორკვირეული ორგანო იქონიოს, არ შეიძლება ეს დადგენილება მივაწეროთ მოულოდნელ შემთხვევას.

ჩვენ უნივერსიტეტს აქვს დღეს ღრმა საფუძველი იქონიოს საკუთარი პერიოდული ორგანო.

მიმდინარე სოციალისტურმა სინამდვილემ დააყენა დღის წესრიგში უამრავი აქტუალური საკითხები, რომელსაც უმაღლესი სასწავლებელი უნდა გამოეხმაუროს გაცილებით უფრო სისტემატიურად და შეგნებულად, ვიდრე დღემდის.

საბჭოთა საზოგადოებრივობას დღეს განსაკუთრებით აღელვებს ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების არა სანუგეშო სინამდვილე, უნივერსიტეტი, რომელსაც მოითხოვება კლბთრდ— რომელსაც მოეთხოვება იყოს სოციალისტურ მშენებლობის ავანგარდში, ვერ დგას მიმდინარე მომენტის ამოცანების სიმაღლეზე და ხოლოდ კუდში მიყვება ცხოვრების უმაგალითო სწრაფ წინსვლელობას. უმაღლესი სასწავლებელი, როგორც ეს ნათლად გამოირკვა, ვერ ასრულებს ღირსეულად იმ ამოცანებს, რომელიც მას დააკისრა პროლეტარიატის დიქტატურამ. პარტიამ და ხელისუფლებამ გაბედულად და საქვეყნოდ აღიარა, რომ კადრების მომზადების საკითხი ვერ დგას სასურველ დონეზე. ჩვენი სოციალისტური სინამდვილე დღეს მჭერმეტყველურად ღაღადებს ამის შესახებ.

უმაღლესი სასწავლებელი არ არის შექმნილი ზეციურ ჰანგებისათვის. მოუთმენელია და გაუგებარი ჩვენთვის „მეცნიერება მეცნიერებისათვის", ისე, როგორც „ხელოვნება ხელოვნებისათვის". არას დროს მეცნიერებას არ ჰქონია ასე გარკვეულად დასახული თავისი უმაღლესი ამოცანა, სინამდვილის გარდაქმნა, როგორც დღეს.. ახალი ქვეყანა იქმნება და უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა შექმნას ქვეყნის მოქანდაკენი, სოციალისტური მშენებლობის პარტიზანები, ბრწყინვალე კომუნისტური მომავლის ენტუზიასტები. პროლეტარიატის დიქტატურა ვერ ითმენს დღეს საკავშირო რესპუბლიკების ტერიტორიაზე ისეთ უნივერსიტეტს, სადაც არ იზრდება იმისი ლეიბ-გვარდია. დე, ტარტიუფებმა კიდევ იფიქრონ და ამტკიცონ, რომ უნივერსიტეტი უნდა იყოს პოლიტიკის გარეშე... ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ასეთ ფარისევლებს ისტორია გარიყავს ცხოვრებიდან და გადაისვრის მათ ნაგავის გოდორში...

ჩვენი გაზეთის პირველი სიტყვა ამიტომ არ შეიძლება არ იქნეს მიმართული იმ მეცნიერების მუშაკთა მიმართ, რომელთაც უშუალოდ დაკისრებული აქვთ კადრების მომზადება. ამ წრეს კიდევ ერთხელ უნდა მოვაგონოთ, რომ დღითი-დღე იზრდება ის მოთხოვნილებანი, რომელსაც უყენებს სოციალისტური მშენებლობის ქვეყანა მეცნიერების მუშაკს... განვლო იმ დრომ, როდესაც ხელისუფლება კმაყოფილდებოდა თითქოს ინტელიგენციის დამადლებული ლოიალობით და პასიური თანაგრძნობით. „ჩვენთვის" — სწერდა ახლო წარსულში ამხ. კრჟიჟანოვსკი — „მალე გამოუდეგარი იქნება ისეთი სპეცები, რომელთაც არ შეუცვნიათ ჩვენი სოციალისტური სინამდვილე და არ ესმით სოციალისტური მშენებლობის აუცილებლობა". დღეს მოუთმენელია უმაღლეს სასწავლებლის კედლებში არა მარტო ისეთი მუშაკი, რომელიც დაღვირთულია ანტისაბჭოთა აზრებით და განცდებით, არამედ ისეთი პიროვნებაც კი, რომელიც მიმდინარე სოციალისტური შემოქმედების პასიური მაყურებელია და არა აქტიური მონაწილე.

დღეს ჩვენი უმაღლესი სასწავლებელი საბჭოთა უნივერსიტეტის სახეს ატარებს. მუშურ - გლეხური ლეგიონები შეადგენს იქ სტუდენტთა დიდ ნაწილს. მრავალი კათედრებიდან უკვე გაისმის მარქსისტ - ლენინელების ხმა... პროლეტარიატის იდეოლოგია დღითი-დღე იკაფავს იქ გზას და მალე იზეიმებს თავის სრულ გამარჯვებას.. [illegible] მოწინააღმდეგეებს ამ შემთხვევაში გავახსენებთ იმ შესანიშნავ სიტყვებს, რომლითაც ტერტულიანი მიმართავდა რომის იმპერიის წარმართებს: „მხოლოდ გუშინ მივევლინეთ ჩვენ ამ ქვეყანას და დღეს ჩვენი თანამოაზრეებით ავსებულია მთელი ქვეყანა; თქვენი ქალაქები, თქვენი სიმაგრეები, თქვენი მუნიციპალიტეტები, კრებები, ჯარები, დეკურიუმები და ფორუმი... ჩვენ გიტოვებთ თქვენ მხოლოდ ტაძრებს".

მაგრამ კიდევ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ამ მიმართულებით. ჩვენ არ ვმალავთ უმთავრეს ჩვენ ამოცანას: უნივერსიტეტი უნდა დაიპყროს [illegible] მარქსისტულ - ლენინურმა იდეოლოგიამ. ჩვენ ამას ქვეყნის გასაგონად ვამბობთ, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ ისტორიული სიმართლე და ისტორიის ლოღიკა ჩვენს მხარეზეა. ვფიქრობთ, რომ საბჭოთა საზოგადოებრივობა ველარ ითმენს დღეს უმაღლეს სასწავლებლის კედლებში იმ „დამოუკიდებელ" მოაზროვნეს, რომელიც გულგრილობას იჩენს მარქსიზმისადმი და ლენინიზმისადმი... კერძოდ, საზოგადოებრივ მეცნიერების დარგში ჩვენ ხმა მაღლა ვაღიარებთ, რომ ის, რაც არ არის მარქსიზმი, არ არის მეცნიერება. ჩვენ გაბედულათ ამას ვამტკიცებთ და დე, მიმდინარე დიდმა გარდატეხის ხანამ კიდევ უფრო გამოაფხიზლოს მეცნიერების მუშაკნი მასიურად ისე, როგორც მან დღემდის გამოაფხიზლა ბევრი. არა ერთ კეთილსინდისიერ მოაზროვნეს უკარნახა ჩვენმა სოციალისტურმა სინამდვილემ გადასინჯოს თავისი მსოფლმხედველობა. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ სოციალისტური შემოქმედების ხანა ახალ სამეურნეო სისტემასთან ერთად ქმნის სოციალიზმის გუშინდელ მტრებიდან სოციალისტურ მოაზროვნეებს...

უმაღლესი სასწავლებლის გასაბჭოება 100 პროცენტით, მარქსისტულ-ლენინურ სოფლმხედველობის გამტკიცებისათვის ხელის შეწყობა, აქტუალური საკითხების სისტემატიური გაშუქება — აი ჩვენი გაზეთის ამოცანა, რომელიც შესრულებული იქნება მეცნიერების მუშაკთა და სტუდენტთა ფართო მასის აქტიური მონაწილეობით.

პარტ. უჯრედთა ბიუროების გადარჩევა და ჩვენი მორიგი ამოცანები

უკვე დაიწყო უჯრედთა ბიუროების გადარჩევა. თვითეულმა პარტიის წევრმა და კანდიდატმა უნდა გამოიჩინოს სათანადო აქტივობა და ინტერესი; პარტ. უჯრედთა ბიუროების გადარჩევა უნდა ჩატარდეს წარსული მუშაობის კრიტიკული შეფასებით და მომავალი მუშაობის ახალი ამოცანების დასახვით.

პარტიის გენერალური ხაზის სისწორით გატარება—უმთავრესი ამოცანაა უჯრედისა და ყოველივე პარტიის წევრისა და კანდიდატისათვის, განსაკუთრებით კი, ჩვენი უნივერსიტეტის პირობებში. ყოველგვარი გადახრების (მემარჯვენე-მემარცხენე, მით უმეტეს მერყევ შემრიგებლობის) სოციალური საფუძველი ძლიერია ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილეში. სტუდენტებისა და მასწავლებლობის სოციალური შემადგენლობა, კომუნისტური ნაწილის შედარებითი სიმცირე და ის გარემოება, რომ თვით პარტიისა და კომკავშირის უდიდესი ნაწილი შესდგება მოსამსახურე და გლეხურ ფენებიდან გამოსული ელემენტებისაგან, უსათუოდ ქმნის სათანადო წინა პირობებს ყოველგვარ გადახრებისათვის პარტიის გენერალურ ხაზიდან. ამიტომ, ბიუროების გადარჩევის დროს ერთხელ კიდევ უნდა შევამოწმოთ თუ როგორი სისწორით ტარდებოდა პარტიის გენერალური ხაზი. უნდა ვამხილოთ ყოველგვარი დამახინჯება და გადახრები მიუხედავად პიროვნებისა და თანამდებობისა.

ყოველდღიური ბრძოლა სოციალურად მავნე ანტისაბჭოთა ელემენტებთან, მუშურ-გლეხური ფენის გადიდება უნდა შეადგენდეს პარტ. უჯრედთა საქმიანობის უდიდეს ნაწილს. საჭიროა შემოწმება—თუ რა გაკეთდა ან რა ზომებია მიღებული ამ მხრივ.

უნივერსიტეტი არის ქარხანა, რომელიც აწვდის სოციალისტურ მშენებლობას ახალ სპეციალისტებს; კადრების მომზადების საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია პარტიის ლოზუნგთან—„დავეწიოთ და გავუსწროთ" ეკონომიურად წინმდგომ კაპიტალისტურ ქვეყნებს, ლოზუნგი, რომლის შესრულება უმთავრესად დამოკიდებულია ახალი კადრების დაჩქარებით მომზადებაზე. ხუთწლიანი გეგმის ჭარბი შესრულება, გათვალისწინებული ტემპის დაცვა, მჭიდროდ დაკავშირებულია ახალი კადრების მომზადების საკითხთან. ამისათვის საჭიროა პარტიული, პროფესიონალური და აკადემიური საქმიანობის ახალ საფუძველზე გადაყვანა ახალ ამოცანებთან დაკავშირებით.

უნ-ტის ორგანიზება [illegible] მუშაობის ახალი ფორმების შემოღება და სათანადოთ გარდატეხის გატარება. საჭიროა ზუსტი გეგმიანობა და რაციონალური საფუძვლის შექმნა ჩვენი მუშაობისათვის. უნდა შევამოწმოთ—რა გავაკეთეთ ჩვენ ამ მხრივ, როგორი არის ჩვენი ტემპი, წინ უსწრებთ, თანაბრად მივდივართ თუ უკან ვრჩებით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ტემპს ჩვენთვის არავინ შეანელებს და არ დაგველოდებიან.

ბიუროების გადარჩევასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ახალი პარტიული აქტივის წამოყენების საკითხი. არსებული აქტივი უნდა შეივსოს და გაძლიერდეს ახალი ამხანაგების წამოყენებით; ბიუროებში უნდა ავირჩიოთ ისეთი ახალი ამხანაგები, რომლებიც სავსებით დაცდილნი არიან პარტიის გენერალური ხაზის სისწორით გატარებაში და იჩენენ აქტიობას ყოველდღიურ მუშაობაში. პარტიული დატვირთვა უნდა განაწილდეს ყველა ამხანაგებზე ისე, რომ თითოეული ასრულებდეს რაიმე პარტ. დავალებას და არ უნდა იყოს ზოგიერთი ამხანაგების ძალზე გადატვირთვა.

შინა პარტიული დემოკრატიის, საქმიანი თვითკრიტიკის საფუძველზე უნდა ავამაღლოთ აქტივობა პარტიის რიგების და გამოვამჟღავნოთ ყველა ის [illegible], რომლებიც უეჭველად ახლავს ჩვენ პარტ. მუშაობას. საქმიანი თვითკრიტიკა და არა პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ცრუ კრიტიკა აამაღლებს აქტივობას და გააჯანსაღებს ჩვენს მუშაობას.

უპარტიო სტუდენტობასა და მასწავლებელთა შორის მუშაობა, მათი საბჭოთა საზოგადოებრივობაში ჩაბმა პარტ. მუშაობის ერთ-ერთი ამოცანათაგანია. ახალი კადრების მომზადება მჭიდროდ არის დაკავშირებული უპარტიო სტუდენტობის პოლიტიკური გადამუშავებასა და მათ გადახარშვის საქმესთან, რომ ისინი გამოსადეგი გახდეს სოციალისტური მშენებლობისათვის. საბჭოთა უნივერსიტეტი უნდა ამზადებდეს—წითელ სპეციალისტებს, მებრძოლთ პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის და არა მის მოწინააღმდეგეებს, რომლებიც ცოდნას იძენენ იმისათვის, რომ მეტი დახელოვნებით მახვილი ჩასცეს მის აღმზრდელ მუშათა კლასს.

ბრძოლა ანტისაბჭოთა ნაციონალიზმით და კაცისჭამია შოვინიზმით გაჟღენთილ ელემენტებთან—უმთავრესი ამოცანაა პარტიისა და კომკავშირის წინაშე. ეს პირები, რომლებიც ხელს უწყობენ ანტისაბჭოთა ნაციონალისტურ-შოვინისტურ ელემენტების და იდეალისტურ მსოფლმხედველობის განმტკიცებას, უნდა მიბრძანდნენ უნივერსიტეტის კედლებიდან. კომუნისტურ-ინტერნაციონალური აღზრდა სტუდენტობის, მარქსისტულ-ლენინისტური მსოფლმხედველობის შემუშავება საფუძვლად უნდა დაედვას ახალი კადრების აღზრდას.

კადრების დაჩქარებით მომზადება მჭიდროდ უკავშირდება სოციალისტურ შეჯიბრების გაშლის საკითხთან. სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე უნდა გადიდდეს აქტივობა და ინტერესი სწავლისადმი; თითოეული სტუდენტი და მასწავლებელი უნდა სავსებით გრძნობდეს მასზე დაკისრებულ საზოგადოებრივ მოვალეობას და სოც. შეჯიბრის საფუძველზე აჩქარებდეს კადრების მომზადებას. თუ მუშათა კლასი მთელ ძალღონეს ჭიმავს, რომ ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელში უნაკლოდ შეასრულოს, სტუდენტობა და მასწავლებლობა უნდა ცდილობდეს ოთხი წლის კურსის სამ წელში შეთვისებას ისე, რომ პროდუქციის ხარისხი უნდა აჭარბებდეს დღევანდელ მომზადების დონეს.

აჩქარებული ტემპით, მეტი საქმიანობით, ნაკლები ლაპარაკით უნდა მოხდეს პარტიული და აკადემიური საქმიანობის გადაყვანა ახალ საფუძველზე. მთელი ჩვენი პარტიული, კომკავშირული და პატიოსან უპარტიოთა ძალების მობილიზაცია სოციალისტური მშენებლობის საკითხის ირგვლივ არის უდიდესი ამოცანა ჩვენს წინაშე. უჯრედთა ბიუროების გადარჩევის დროს უნდა შევამოწმოთ ყოველი ჩვენი ნაბიჯი და შევიმუშაოთ საჭირო ღონისძიებანი მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავანამდვილოთ ჩვენ პარტიის გენერალური ხაზი.

გ. სულუხია.

სამკურნალო ფაკულტეტის რეორგანიზაცია

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ეხლა ხუთწლიან სამოსწავლო გეგმასთან დაკავშირებით ჩვენ წინ გაიშალა მთელი თავისი სიფართით უმაღლესი სასწავლო განათლების საკითხი. ეს ამოცანა ზედმიწევნით რთულია და ძნელია.

ჯანმრთელობის კომისარიატის მიერ შედგენილ ხუთწლიან გეგმის თანახმად, საბ. საქართველოს რესპუბ. ყოველწლიურად ესაჭიროება 210 ექიმი. ჩვენ შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ ეს სიცფი სინამდვილეს ჩამორჩება. ყოველ შემთხვევაში ჩვენ უნდა ვიყოთ მზათ გამოუშვათ 201300 ექიმამდე წელიწადში. აქამდის სამკურნალო ფაკულტეტს ამთავრებდა ასი ექიმი. თავის თავად ცხადია, რომ ახალ სოციალისტურ საფუძველზე აშენებულ სოფელს ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა მიაწოდოს მაღალ კვალიფიკაციის, თანამედროვე ცოდნით აღჭურვილი ექიმი და არა „ფერშალი", სამკურნალო ფაკულტეტის 6 წლიან 5 წლიან გეგმაზე გადასვლით და კურსის სტუდენტთა რიცხვის გადიდებით ჩვენ შეგვიძლია ადვილად გადავჭრათ რაოდენობის საკითხი. რომ სწავლის ხანგრძლივობის შემცირებით არ დაეცეს ექიმის მომზადების დონე, საჭიროა მთელი რიგი ზომებისა, რომელიც გათვალისწინებული არიან ახალ გეგმაში და გაზაფხულის სემესტრში ძალაში უნდა შევიდეს. აკადემიური წელი უნდა იწყებოდეს და თავდებოდეს ისე, რომ არდადეგებისათვის რჩებოდეს მხოლოდ ორი თვე, ან და 6 დეკა; დანარჩენი დრო მთლიანად უნდა მოხმარდეს სწავლას. ამ ზომის განხორციელება მოითხოვს მხოლოდ შეგნებულ დისციპლინას და მისი ცხოვრებაში გატარება ჩვენზეა დამოკიდებული. თვით სწავლების წესი კი უნდა შეიცავდეს: ლექციის მაგიერ პრაქტიკული ვარჯიშობა. თეორიამ უნდა დაუთმოს ადგილი პრაქტიკას. ამ გვარად ლაბორატორიული მეთოდის შემოღებით ჩვენ გაუადვილებთ სტუდენტობას სწავლის სიძნელეს. ამ მეთოდის საშუალებით სტუდენტი მთელი ცოდნას თეორიულს და პრაქტიკულს, მიიღებს უნივერსიტეტის კედლებში. თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში სტუდენტობის საბინაო კრიზისს და სახელმძღვანელოების უქონლობას, ნათელია ლაბორატორიულ მეთოდის უპირატესობა. ამ მეთოდს მოჰყვება გამოცდების სისტემის გაუქმება, რის მაგიერ მასწავლებელი მუდმივ კონტროლს აწარმოებს სტუდენტის მუშაობაზე. ცხადია ამ პირობებში საგანი უფრო ადვილი და ადვილად შესათვისებელია, ვიდრე დაზეპირება გამოცდების წინ. ლაბორატორიული მეთოდი უფრო ძვირია სახელმწიფოსათვის, ვიდრე ჩვეულებრივი ლექციების სისტემა; საჭიროა მასწავლებელთა შტატის გადიდება, სახელმძღვანელოების შექმნა და სხვა ხარჯები. უნივერსიტეტის გამგეობის მიერ შედგენილია სათანადო ხარჯთაღრიცხვა და წარდგენილია განათლების კომისარიატში. ამ დღეებში სწავლის დაწყებამდე ეს საკითხი უნდა გადაწყდეს, თორემ ჩვენ მოგველის საფრთხე, რომ ხუთწლიანი გეგმა მხოლოდ მექანიკურად გატარდება ცხოვრებაში და მცოდნე მომზადებულ ექიმის მაგიერ ჩვენ გამოუშვებთ უვიცი ექიმებს.

გ. ვაწაძე.

კადრების საკითხი

კადრების საკითხი, როგორც განუყოფელი ნაწილი მთლიანი — სოციალისტური მშენებლობის ხუთწლიანი გეგმისა, ჩვენს თვალწინ ხორციელდება, იღებს რეალურ გამოსახულებას. სხვადასხვა ორგანოები უკვე იგნებენ მის აუცილებლობას და მიზანშეწონილობას. ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ თვით უმაღლესი სასწავლებლები რაიმე უპირატესობას წარმოადგენდენ. პირიქით, თუ სამეურნეო ორგანოები ხშირად ანეკდოტურ უვიცობას იჩენენ და ფიქრობენ, მაგალითად, რომ კონტრაქტაცია მხოლოდ ძალით მოხვეჭილი გაძლიერებული სტიპენდიაა, ან ზედმეტი შტატის შექმნაა უმუშევარი სტუდენტებისათვის, ჩვენს წრეებშიაც ხშირია მოვლენა, როცა გონიათ, რომ კონტრაქტაცია მხოლოდ მომავალ აგრონომებს და ინჟინერებს ეხება და მათთანაც ხელშეკრულობის დადება ყველა ორგანოებს არ შეუძლია.

თანამედროვე ცხოვრება, მთელ სინამდვილეში წარმოებული ღრმა სოციალურ - ეკონომიური გარდატეხა ულმობელად აყენებს ამ საკითხს და მოითხოვს მის გადაწყვეტას. შეუგნებელი პროცესის შეგნებული გამომხატველი — მუშათა კლასის მოწინავე რაზმი, კომუნისტური პარტიის სახით, უკვე გეგმაშეწონილად აწარმოებს ამ საქმეს. მასში თანდათან ებმება მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა.

რა მოვალეობა ეკისრება აქ უმაღლეს სასწავლებლებს: სტუდენტობას ერთის მხრივ და მასწავლებელთა პერსონალს მეორე მხრივ?

ორივე მხარემ ერთნაირად უნდა შეიგნოს, რომ კონტრაქტაცია ხელშეკრულებაა, რომელიც ვადაზე აუცილებლად უნდა იქნეს განაღდებული. მთავარი ვალდებულება ამ ხელშეკრულების იმაში გამოიხატება, რომ შეიქმნას სოციალისტური მშენებლობისათვის სავსებით გამოსადეგი სპეციალისტის ახალი ტიპი, რომელიც შესძლებს გაერკვეს წამოყენებულ პრობლემათა სირთულეში და მთელი ძალ - ღონით ემსახუროს მათ გადაწყვეტას. ამგვარად, ამოცანის სიძნელე მარტო იმაში კი არ მდგომარეობს, რომ საერთოდ ცოტა მოგვეპოვება სპეციალისტები, არამედ უმთავრესად იმაში, რომ არ მოგვეპოვება დღევანდელ მოთხოვნილებათა სიმაღლეზე მდგომი პირები, რომელნიც ათავსებდენ საქმისადმი ერთგულებას და შესაფერ ცოდნას. ასეთების შექმნა შესაძლოა მხოლოდ მშრომელი ხალხის წრიდან გამოსულ პირების შესაფერი გაწვრთნა - მომზადებით.

კერძოდ, სტუდენტს სავსებით გარკვეული უნდა ქონდეს თავისი მომავალი სამუშაო ხაზი და ამ მიმართულებით სავსებით შეგნებულად იწაფებოდეს. სრულიად უნდა აღმოიფხვრას მასში ის მერყეობა, რომლის გამო დღეს ერთ დარგს ირჩევს და ხვალ სხვას, ერთსაც აწყდება, მეორესაც და ამ აქეთ-იქით ხეტიალში უნაყოფოდ ფლანგავს დიდძალ ენერგიას, ან სრულ მცონარეობას ეძლევა. მან უნდა შეიგნოს, რომ ყოველ დარგს ახლავს თავ - თავისებური სიძნელე და მიმზიდველობა, რომ არც ერთი მათგანი არ შეითვისება გარეშე თავგამოდებული შრომისა და ნებისყოფის დაჭიმვისა. უმაღლეს სასწავლებელში გატარებული დროის არც ერთი წუთი არ უნდა დაკარგოს მან უნაყოფოდ, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ის საზოგადოების უსარგებლო და მაზარალებელი წევრი ხდება და, ნაცვლად იმისა, რომ ემსახუროს ამ საზოგადოებას, მხოლოდ ზედმეტ ბარგად შეიქნება მისთვის. ცოდნით აღჭურვილი მშრომელი, შეგნებული მშენებელი სოციალისტური წყობილებისა — აი როგორი სპეციალისტი უნდა შეიქნას დღევანდელი სტუდენტისაგან. და ამას სტუდენტი შესძლებს, როდესაც ის არც შრომას მოსწყდება და მეცნიერებასაც ხარბად დაეწაფება, პრაქტიკასაც განაგრძობს და თეორიასაც მისთვის გამოიყენებს და ასე საბოლოოდ მოსპობს ფიზიკური და გონებრივი შრომის წინააღმდეგობას.

აქედან აშკარაა, მასწავლებელთა პერსონალის ამოცანაც, მისი მოქმედებაც სავსებით აქეთ უნდა იქნეს მიმართული. ცხადია, ბევრი რამ ძველი თეორიიდან დღეს ზედმეტი და უსარგებლოა, ხშირად მავნებელიც. უნდა მოხდეს პროგრამების გადასინჯვა და მათი ახალი დაწესრიგება, მნიშვნელოვანის წინ წამოყენება, მრავალი წვრილმანის მოკვეთა, დროის შესაფერი ახალი დისციპლინების ჩამოყალიბება და ასე მთელი თეორიისათვის იმავე მიზნის დასახვა, რასაც ემსახურება თანამედროვე ეპოქა — მშრომელი კაცობრიობის განთავისუფლება და საწარმოო ძალების ჯერ არნახული განვითარება. ეს კი მოითხოვს მთელი თეორიის არა მექანიკურ გადასინჯვას, მისი ნაწილების გადასმ - გადმოსმას, არამედ ახალი ცოდნის ძებნას და შექმნას. ამ მხრივ პროფესორი სტუდენტს არ უნდა ჩამოუვარდებოდეს, ისიც იმავე დაუსრულებელი სწავლის წყურვილით უნდა იყოს გამსჭვალული და საბოლოოდ იმავე მიზანს ემსახურებოდეს, რომელსაც დღევანდელი საპასუხისმგებლო მომენტი აყენებს.

ახალი კადრების შექმნა ნიშნავს ძველი კადრების გადახალისებას, ხშირად პერსონალურადაც და აუცილებლად შინაარსის მხრივ. ახალი ქვეყანა იბადება, — გზა მივსცეთ გამოსატველ ახალ თეორიას და ამის მატარებელ მშრომელ მასას.

მ. ტოროშელიძე.

აგრარულ მომუშავეთა მარქსისტების საკავშირო კონფერენციის შედეგები

გასული წლის 20 დეკემბერს ქ. მოსკოვში შეიკრიბა პირველი საკავშირო კონფერენცია აგრარულ მომუშავეთა მარქსისტების. კონფერენციას დაესწრო 300-მდე დელეგატი სხვადასხვა რესპუბლიკებიდან და რაიონებიდან. კერძოდ ა.-კ. წარდგენილი იყო ორი რესპუბლიკის დელეგაციის სახით (აზერბეიჯანიდან 6 კაცი და საქართველოდან 5 კაცი). კონფერენცია სათანადოდ იყო მომზადებული და დიდი ინტერესი გამოიწვია. დღის წესრიგში დასმული იყო მრავალი საყურადღებო საკითხები. ჩვენ შევჩერდებით კონფერენციის მუშაობის ზოგიერთ მომენტებზე. პლენუმზე პირველი მოხსენება გააკეთა ამხ. მილიუტინმა სოციალისტური რეკონსტრუქციის და აგრარულ ფრონტზე ბრძოლის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ აწარმოებს ბრძოლას წმინდა ბურჟუაზიული მიმართულება (კონდრატიევი, ვაინშტეინი, ლიქოშენკო და სხვ.) და ნეონაროდნიკული მიმართულება (ჩაიანოვი, ჩელინცევი, მაკაროვი და სხვ.). ამავე დროს ჩვენი პარტიის რიგებშიაც ადგილი აქვს ანტიმარქსისტულ-ანტილენინურ გადახრებს აგრარულ საკითხებში (მემარჯვენე და მემარცხენე გადახრა). ანტიმარქსისტულმა ძალებმა გააცხოველეს თავისი მუშაობა ამ ბოლო დროს. ამხ. მილიუტინმა დასახა მთელი რიგი ამოცანებისა აგრარულ ფრონტზე ჩვენი ძალების უფრო მეტი ორგანიზაციისა და შეკავშირების მიზნით. პროვინციიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა მოიყვანეს მთელი რიგი ახალ ფაქტებისა, რომლებიც ადასტურებენ მომხსენებლის შეხედულებებს. მოხსენების გარშემო მიღებული იქნა ვრცელი რეზოლიუცია, რომელშიაც კონკრეტიულად არის დასახული აგრარულ ფრონტზე ბრძოლის ამოცანები.

მეორე მოხსენება გააკეთა ამხ. გაისტერმა სოფლად სოციალური გარდატეხისა და ძალთა გადაჯგუფების შესახებ. მან ვრცლად შეჩერდა გლეხობის ფენებად დაყოფის საკითხზე და აღნიშნა, რომ ეხლანდელ პერიოდში, როდესაც კოლმეურნეობები ძლიერდებიან, ეს საკითხი სხვანაირად უნდა დაისვას.

პლენუმმა განიხილა კიდევ მესამე, სახელდობრ, ორგანიზაციული საკითხი.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭიროა გაძლიერდეს მარქსისტულ-ლენინურ საკვლევ ინსტიტუტების მუშაობა. მიზანშეწონილად იქნა ცნობილი აგრარულ მომუშავეთა მარქსისტების საზოგადოების შექმნა საკავშირო მასშტაბით. მეტად საინტერესო მოხსენებები იქნა მოსმენილი და გარჩეული სექციებში. დიდი ინტერესით შეხვდენ დისკუსიას თეორეტიულ პრობლემების სექციაში. აქ უნდა აღინიშნოს მოხსენება გორდეევის აგრარული კრიზისების შესახებ, ლიუბიმოვის და ლურიეს — მიწის რენტის შესახებ და სულკოვსკის — სასოფლო-სამეურნეო ეკონომიის საგნის და მეთოდის შესახებ. საინტერესო იყო აგრეთვე მუშაობა აგრარულ საკითხის სექციის აღმოსავლეთში. აქ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამხ. მადიარის მოხსენება წარმოების აზიური წესის შესახებ. ამ მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია. თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ (მომხსენებელი, დუბროვსკი, საფაროვი).

ჩვენ აქ არ შეგვიძლია შევეხოთ ყველა სექციების მუშაობას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ კონფერენციაზე საბოლოოდ იქნა გადაწყვეტილი ზოგიერთი ისეთი საკითხები, რომლებიც იწვევდა დიდ კამათს. კონფერენციამ უარყო ამხ. დუბროვსკის თვალსაზრისი სადავო საკითხებში (აზიური წესი წარმოებისა და სხვ.). ამავე დროს კონფერენციამ აღნიშნა ზოგიერთი შეცდომები კომუნისტური აკადემიის ცალკე მომუშავეების მიერ დაშვებული.

რა თქმა უნდა, რა შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს ყველა საკითხები, რომლებიც გაირჩა სექციებში. ზოგიერთ მათგანზე კამათი ალბად კიდევ დიდხანს იწარმოებს, მაგრამ კონფერენციის მუშაობას მაინც დიდი ნაყოფი შეუძლია გამოიღოს ამ საკითხების უფრო ღრმად დასმაში და გადაწყვეტაში. სტენოგრაფიული ანგარიში კონფერენციისა, რომელიც იბეჭდება, მოგვცემს დიდ მასალას თეორიული მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერებისათვის.

დიდი ინტერესით მოისმინა კონფერენციამ ამხ. სტალინის სიტყვა. ამხ. სტალინმა თავის სიტყვაში მისცა მთელი პროგრამა მუშაობისა არა მარტო აგრარულ მომუშავე მარქსისტებს, არამედ მთელ პარტიას. საკითხი კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის შესახებ დაისვა პირველად სწორედ ამ კონფერენციაზე.

ამ პირველი კონფერენციის შემდეგ მუშაობა კიდევ უფრო გაცხოველდება საკავშირო მასშტაბით. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენშიაც საბოლოოდ ჩამოყალიბდება საზოგადოება აგრარულ მომუშავეთა მარქსისტებისა და სათანადო სიმაღლეზე დადგება აგრარული საკითხების მეცნიერული დამუშავების საქმე.

კ. ორაგველიძე.

უნივერსიტეტი კოლექტივიზაციის ფრონტზე

უნივერსიტეტის ბრიგადების მუშაობა სოფლად

კახეთის ოლქიდან დაბრუნებულმა ბრიგადის ხელმძღვანელმა ამხ. მალაქია ტოროშელიძემ განაცხადა შემდეგი: კახეთის ოლქში მთლიანი კოლექტივიზაცია თითქმის მოთავებულია. გლეხობამ უკვე გაერთიანა კოლექტივში მთელი თავისი ინვენტარი. კოლექტივებმა ამოირჩიეს მათი გამგეობები. მუშაობა მიმდინარეობს დიდი ხალისით და ენტუზიაზმით. ეხლა მიმდინარეობს საწარმოო დარგებად დანაწილება. კოლექტივებს ჯერ კიდევ არ გააჩნიათ საწარმოო გეგმები. დიდი მოთხოვნილებაა ორგანიზატორების, რომელთაც შეუძლიათ გეგმიანობის შეტანა კოლექტივებში. სუსტად მიმდინარეობს კოლექტივის ქონების, ინვენტარის და სამუშაო ძალის აღრიცხვის საქმე. საჭიროა ბუღალტერიის სპეციალისტების საკმაო კადრის სასწრაფო გადასროლა სოფლად. გლეხობის გულუბრყვილობაზე და ცრუმორწმუნეობაზე ანტისაბჭოთა ელემენტები მიმართავენ პროვოკაციას, რომ თითქოს ბავშებს ჩამოართმევენ მშობლებს და რამოდენიმე რონოდებით გააგზავნიან მათ ჩინეთში. სტუდენტთა ბრიგადა დაიყო ორ ნაწილად და გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ აგიტ-პროპაგანდის, აღრიცხვის და პრაქტიკულ სამუშაოთა დარგში. ერთი ნაწილი მუშაობს ჩუმლაყში, მეორე—ბაკურციხეში. ბრიგადა თავის დანიშნულებას ზედმიწევნით ასრულებს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბავშის სნეულებათა კათედრის გამგის მ. უგრელიძის ქალის მუშაობა გურჯაანში, კარდანახში, სადაც მან მიიღო გლეხობის უამრავი ბავშები, დაათვალიერა საბავშო ბაღი და აღმოუჩინა მათ საჭირო საექიმო დახმარება, აქედან ის გაემგზავრება ანაგაში და კომენაში, სადაც ამგვარივე სამუშაოებს ჩაატარებს. გლეხობა დიდი კმაყოფილებით ხვდება მას.

ამხ. ტოროშელიძე ორი დღის შემდეგ კვლავ გაემგზავრება კახეთის ოლქში ეკონომისტ ორგანიზატორების და ბუღალტერების ბრიგადით.

მეორე ბრიგადა შესდგებოდა 8 კაცისაგან, რომელიც ტფილისიდან ნორიოში გაემგზავრა ორ თებერვალს. ჩასვლისთანავე ბრიგადა შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

მოწვეულ იქნა პარტიის და კომკავშირის გაერთიანებული კრება ღარიბ ჯგუფებთან, სადაც დამუშავდა საკითხი კოლექტივიზაციის მნიშვნელობის და ბრიგადის ამოცანების შესახებ. ამავე კრებაზე გაკეთებული იქნა მოკლე ანგარიში, რითაც ხელმძღვანელობდა ბრიგადა თავის მუშაობაში. 1000 კომლიანი სოფელი დაყოფილი იქნა 4 უბნად, თითოეულ უბანზე მიმაგრებული იქნა ბრიგადის წევრები, რომლებიც აწარმოებდენ ახსნა-განმარტებითი მუშაობას გლეხობის შორის.

ბრიგადიდან გამოყოფილი იქნა ექიმთა ჯგუფი ამავე სოფლის საექიმო დახმარებისათვის.

ნორიოს მთელი მოსახლეობა (გარდა კულაკური ელემენტებისა) გაერთიანდა ერთ მთლიან კოლექტივში სახელწოდებით: ნორიოს, ლენინის სახელობის მთლიანი კოლექტივი.

კოლექტივის გამგეობა, რომელიც შესდგება 31 კაცისაგან, დაყოფილი იქნა სექციებად:

1. სასოფლო-სამეურნეო;
2. სააღმშენებლო და
3. მესაქონლეობა-მემინდვრეობის.

თითოეულ სექციისათვის შედგენილი იქნა მოკლე სამუშაო გეგმა, რომელიც გაეცნო სექციის წევრებს. სექციის წევრთა შორის იმართებოდა სისტემატიური ახსნა-განმარტება მათი მომავალი მუშაობის შესახებ.

სათანადო მუშაობის ჩატარების შემდეგ კოლექტივი გადავიდა პრაქტიკულ მუშაობაზე:

1. დაგროვილი იქნა გუთნები კოლექტივისათვის, სწარმოებს დაზიანებული გუთნების შეკეთება.
2. გამოყოფილ იქნა სპეციალური ხელმძღვანელები, რომელთაც დაევალათ ცალკე უბნებში სასუქის (ნაკელის) მინდვრად გადატანა.
3. სწარმოებს საგაზაფხულო თესვისათვის თესლის მომარაგება და სათესი ფართობების დახარისხება. კოლექტივი 20 თებერვლიდან დაიწყებს ხვნა-თესვას, რისთვისაც მიღებულია ზომები გამწევი ძალის (მუშა-საქონლის) აღრიცხვის და მოვლის შესახებ. კოლექტივმა აღძრა შუამდგომლობა თემალმასკომის წინაშე კოპტონის მიწოდების შესახებ.

საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით გეგმაში შეტანილია სათესი ფართობების გასულ წელთან შედარებით 35 პროცენტით გადიდება.

1000 კომლიანი სოფელი აღფრთოვანებით ებება მთლიან კოლექტივს და მოითხოვენ კულაკური ელემენტების სრულიად ალაგმვას.

უნ-ტის მეორე ბრიგადა.

კულაკების, როგორც კლასის ლიკვიდაციის პოლიტიკის შესახებ

რასაკვირველია, ლენინიზმში, ისე, როგორც მარქსიზმში, ცენტრალურ საკითხს პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი შეადგენს. ლენინმა შესძლო დაემუშავებია მთელი რიგი საკითხების, რომლებიც დაკავშირებული იყო როგორც პროლეტარიატის დიქტატურის მოპოებასთან, ისე პროლეტარიატის დიქტატურის გაღრმავება-განმტკიცებასთან. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია გლეხობის საკითხს, რადგანაც, ერთი მხრივ, სოციალისტურმა რევოლიუციამ პირველად გაიმარჯვა ლენინის ხელმძღვანელობით ისეთ გლეხურ ქვეყანაში, როგორიც იყო ძველი რუსეთის ტერიტორია და, მეორეს მხრივ, თვით მსოფლიო პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება დაკავშირებულია მრავალ მილიონიანი აღმოსავლეთის გლეხობის მოძრაობასთანაც.

ტროცკისტები, რომლებიც ობიექტურად მენშევიკური იდეოლოგიის გამომხატველნი იყვნენ, შეეცადენ დაემახინჯებიათ გლეხობის საკითხის ლენინური გაგება. ისინი გლეხობის უმთავრეს მასას არა რევოლიუციონურ ძალად მიიჩნევდენ და გლეხობაში, როგორც სოციალურ ძალაში, ხედავდენ პროლეტარიატის დიქტატურის მესაფლავეს.

მემარჯვენე გადახრის იდეოლოგები, პირიქით, გლეხობას მთლიანად ერთ კლასად წარმოიდგენენ. ისინი ობიექტიურად წვრილ-ბურჟუაზიულ სულისკვეთების მატარებელნი არიან. მათის აზრით სოფლის მეურნეობას შეუძლია ორი პარალელური გზით განვითარება. კაპიტალისტური და სოციალისტურით, რომლებიც მათის აზრით ერთ წერტილში ეშხვდებიან. რასაკვირველია, მემარჯვენეები აქ საკმაოდ ააშკარავებენ თავიანთ მექანისტურ მსოფლმხედველობას და გვერდს უვლიან საკითხის მარქსისტულ-ლენინურ გაგებას. ლენინი სრული მეცნიერული ჭეშმარიტებით ამტკიცებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის დროს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის არსებობს მხოლოდ ორი გზა: **ან** გზა სოციალისტური და **ან** გზა კაპიტალისტური. ამიტომ სრული აბდა-უბდა იქნება რომელიმე მესამე გზის ძებნა. მემარჯვენეებს კი ვერ წარმოედგინა კითხვის ამგვარი დასმა და სწორედ ამიტომ, იცავდენ რა ისინი სოფლის მეურნეობის განვითარების „პარალელობას", ფაქტიურად მხარს უჭერდენ კაპიტალიზმის (კულაკური) მეურნეობის განვითარებას სოფლად.

სინამდვილემ სასტიკად დაგმო ტროცკისტული შეხედულება გლეხობის საკითხზე. სინამდვილემ ყირამალა გადაატრიალა ის ტროცკისტული დებულება, რომ გლეხობა საერთოდ, ვითომ, პროლეტარიატის დიქტატურის მესამარე იყოს და რომ შველა ამგვარ მდგომარეობიდან ვითომ გლეხობის გალატაკება-გატყავებაში მდგომარეობდა. ასეთივე გაკოტრების ბედი ეწვია მემარჯვენე იდეოლოგიის არგუმენტებსაც, რომლებიც პარტიას მოუწოდებდენ სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურად განვითარების ხელის შეწყობისაკენ. მემარჯვენეების აზრით კოლმეურნეობა არ უნდა გახდეს ერთად ერთი გზა სოფლად სოციალიზმის მშენებლობისა, არამედ ამ გზასთან ერთად პარალელურად სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურად განვითარების გზაც უნდა არსებობდეს, რომელიც მისცემს კულაკობას სოციალიზმში შეზრდის საშუალებას.

კომუნისტური პარტიის ლენინურმა პოლიტიკამ ამ რამოდენიმე წლების განმავლობაში იმგვარი ძალთა დაჯგუფება მოახდინა სოფლად, რომ შესაძლებელი გახდა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობათა წარმოუდგენელი განვითარების ტემპი. სწორედ სოციალისტური ელემენტების განვითარებაში უნდა ვეძიოთ მიზეზი იმისა, თუ რატომ „по новому становиться теперь вопрос о нэпе, о классах о колхозах, об экономике переходного периода (Сталин)".

ჩვენ აქ შევეცდებით ამ მრავალ კითხვებისაგან გამოვყოთ საკითხი კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის შესახებ. რადგან ზოგჯერ არამც თუ ვერ ასაბუთებენ ამ პოლიტიკას, არამედ ვერ პოულობენ პრინციპიალურ განსხვავებას ლოზუნგისას: კულაკობის შეზღუდვის და კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის შორის. საერთოთ ამგვარი დაბნეულობის მაგალითები ჩვენ გვხვდება, როდესაც რადიკალური გარდატეხის პირობებში ახალ ლოზუნგს ვერ ასაბუთებენ სხვაგვარად, თუ არა ძველ ლოზუნგთან დაკავშირებით და მასში გათქვეფით. ლენინი თავის თხზულებებში მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ ხშირად ყოფილა მაგალითები, როდესაც მოწინავე პარტიებიც კი ვერ ითვისებენ რადიკალური გარდატეხის პირობებს და ამიტომ ისინი იმეორებენ ძველ ლოზუნგებს, რომლებსაც ჰქონდა აზრი და მოქმედების ასპარეზი გუშინ და გამხდარან უაზრონი და უმოქმედონი დღეს. (იხ. ტ. XIV, ნაწ. 2, გვ. 12).

ეჭვს გარეშეა, რომ ლოზუნგი კულაკების შეზღუდვის (ოგრანიჩენიე) შესახებ ვრცელდებოდა მთელი თავისი შინაარსით 1929 წლ. ზაფხულამდე, ე. ი. მანამდე, სანამ კოლექტიური მოძრაობა არ ღებულობდა იმგვარ ტემპს, როდესაც შესაძლებელი ხდება მთელი რაიონების და ოლქების გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე. პოლიტიკა კულაკობის შეზღუდვის რჩებოდა ძალაში ერთ-ერთ პოლიტიკად იმ დრომდე, სანამ არ დამდგარა პერიოდი, მთლიანი კოლექტივიზაციის, პერიოდი კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის აუცილებლობის. მაშასადამე, მიზეზი, თუ რატომ კულაკობის შეზღუდვის ლოზუნგს სცვლის მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონში ლოზუნგი კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციის, უნდა ვეძოთ არა სხვა რამეში, თუ არა სოფლად სოციალისტური სექტორის განვითარებაში. იმ რაიონებში, სადაც მთლიანი კოლექტივიზაცია მიდის, ყოვლად შეუძლებელია და წარმოუდგენელია მივცეთ ადგილი იმგვარ შესაძლებლობას, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურად განვითარებას. ამიტომ განკულაკება კოლექტივიზაციის ზრდა-განვითარების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს, და სწორედ ამიტომ იმ რაიონებში, სადაც მთლიან კოლექტივიზაციას აქვს ადგილი, უნდა ტარდებოდეს არა პოლიტიკა კულაკობის შეზღუდვის, არამედ პოლიტიკა განკულაკებისა, ღარიბი და საშუალო გლეხობის მასის უშუალო მონაწილეობით. ის, ვინც კითხვის ამგვარ დაყენებას გვერდს უვლის, ის, ვინც მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის ვერ არჩევს პარტიის ორ ლოზუნგს ერთი მეორისაგან და ცდილობს შესცვალოს განკულაკება კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკით, რასაკვირველია, ობიექტიურად დამცველია წვრილ-ბურჟუაზიული სულისკვეთების. სწორედ მემარჯვენეებს შეუძლიათ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებისათვის შეეცადონ გამოიყენონ კულაკობის შეზღუდვის ლოზუნგი და დაიწყონ მტკიცება, ვითომ არავითარი განსხვავება არ უნდა არსებობდეს იმ პოლიტიკას, რომელსაც პარტია ატარებდა, როგორც ჩვენი მეურნეობის აღდგენის, ისე ამ მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, და იმ პოლიტიკას შორის, როდესაც მთელი რაიონები და ოლქები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე. მემარჯვენეები, აშკარად თუ მალულად. უკიდურეს შემთხვევაში შეეცდებიან შესცვალონ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში პოლიტიკა განკულაკების, კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკით.

არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს მეორე გარემოებასაც. ჩვენ ვიცით, რომ იმ რაიონებში, სადაც მთლიან კოლექტივიზაციას არ აქვს ადგილი, კულაკობის შეზღუდვის პოლიტიკა რჩება ძალაში. „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ ეს უკანასკნელი ლოზუნგი გადაიქცა მთავარ ლოზუნგად, ხოლო კულაკობის შეზღუდვის ლოზუნგი არა მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დამოუკიდებელ ლოზუნგიდან გადაიქცევა დამხმარე ლოზუნგად, ხელშემწყობ ლოზუნგად მთავარი ლოზუნგის მიმართ, ისეთ ლოზუნგად, რომელიც ამ უკანასკნელ რაიონებში აადვილებს პირობების მომზადებას მთავარ ლოზუნგზე გადასვლისათვის" (სტალინი).

არა კოლექტივიზაცია ქმნილ რაიონებისათვის უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს მთელ რიგ ღონისძიებების ცხოვრებაში გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობენ იმგვარ ძალთა დაჯგუფებას, რომელიც უზრუნველყოფს სოციალიზმის განვითარებას სოფლად. განკულაკება ამ რაიონებში არ შეიძლება იყოს დაშვებული, რადგან ის (ე. ი. განკულაკება) აქ ვერ გახდება სოციალიზმის მშენებლობის ზრდის ნაწილად. კულაკური მეურნეობის კონფისკაცია ამ რაიონებში არ შეიძლება დაშვებულ იქნეს, რადგანაც ეს ჩამონართმევი დოვლათი ვერ გადაეცემა კოლექტიურ მეურნეობას მისი ამ რაიონში უქონლობის გამო. პირიქით, ეს ჩამორთმეული ქონება დანაწილებული იქნება საშუალო და ღარიბ გლეხობის შორის. ეს კი ნიშნავს არა სხვა რაიმეს, თუ არა განმეორებას იმ პოლიტიკისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918-21 წლ. სწორედ ამიტომ კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ვერ დაუშვებს ამგვარ პოლიტიკას, რადგანაც ეს იქნებოდა არა წინსვლა, არამედ უკან დახევა, არა სოციალისტური ელემენტების ზრდა-განვითარება, არამედ ამ ელემენტების მოსპობა და გლეხობის მეურნეობის გასაშვალება. კოლექტივიზაციით თამაში, 1918-21 წ. წ. ჩამორთმევის და ურთიერთ შორის განაწილების პოლიტიკის გახსენება წარმოადგენს არა სხვა რაიმეს, თუ არა „მემარცხენე" გადახრის პოლიტიკის გატარებას. ამგვარ პოლიტიკას არავითარი საერთო არ აქვს პარტიის განკულაკების პოლიტიკასთან, პირიქით, ის ნაკარნახევია ჩვენი მტრების მიერ, რომელთაც სწადია ლაფში ამოავლონ და სახელი გაუტეხონ კოლექტივიზაციის იდეას, ე. ი. იდეას სოფლად სოციალიზმის მშენებლობისას. პარტია მოითხოვს არა განკულაკებას განკულაკებისათვის, არამედ განკულაკებას კოლმეურნეობის მშენებლობის გაფართოებისათვის. სწორედ ამიტომ პარტია ებრძვის ისეთ განკულაკებას, რომელიც მიზნად ისახავს ქონების გატაცებას და მის განაწილებას გლეხებს შორის. პარტიის გენერალური ხაზი მოითხოვს, რომ განკულაკება შემადგენელი ნაწილი უნდა გახდის კოლექტიური მეურნეობის მშენებლობის და არასდროს არ უნდა ემსახურებოდეს „კომბედურ" მისწრაფებებს.

რაც შეეხება ადმინისტრატიულ გადახრებს კოლმეურნეობის მშენებ-

უნივერსიტეტი ახალ გზაზე

სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის რეორგანიზაცია

ჩვენი ცხოვრების პირობები მოითხოვენ ჩვენგან სოც. - ეკონომიური ფაკულტეტის სასწრაფო რეორგანიზაციას. ეს რეორგანიზაცია უნდა მოხდეს იმ მიზნით, რომ შეცვლილ იქნეს სისტემა მეცნიერების შეთვისებისა. ამას გარდა უნდა შეიცვალოს სამოსწავლო პროგრამები, შემცირდეს დრო უნივერსიტეტის დამთავრებისა და სხვ. ფაკულტეტმა უკვე გადადგა ნაბიჯი ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად. იმ სასწავლო გეგმის მიხედვით, რომელიც უკვე დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოსა და გამგეობის მიერ, გათვალისწინებულია უნივერსიტეტში სწავლის დრო სამი წლით. გეგმა ისეთნაირად არის შედგენილი, რომ კურსდამთავრებულთ შეეძლოთ დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა მეურნეობას, რომელიც განიცდის წინსვლას სოციალისტური სექტორის გაძლიერების მხრივ. სამეურნეო ორგანიზაციები გვიყენებენ ჩვენ აუარებელ მოთხოვნილებებს კადრების მომზადების სახით. ისინი თხოულობენ ისეთ მომზადებულ პირებს, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ სწორი წარმოდგენა ჩვენს მეურნეობაზე, რაც საშუალებას მისცემს მათ დახმარება აღმოუჩინონ მებრძოლ მუშათა კლასს და ღარიბ და საშუალო გლეხობას — სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

აქ ჩვენ არ უნდა ვივიწყებდეთ იმ გარემოებასაც, რომ ჩვენ მეურნეობას ესაჭიროება არა მარტო აგრონომები, ტეხნიკოსები და ინჟენერები, არამედ ეკონომისტებიც. კოლმეურნეობის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი უნდა იქნეს მხოლოდ ეკონომისტი. სოციალიზმის შენება შეუძლებელია გეგმიანობის ცოდნის გარეშე, ხოლო გეგმიანობის ცოდნა კი თავის მხრივ მოითხოვს ანგარიშიანობის, ბალანსის ანალიზის, სტატისტიკის, ინსტრუქტაჟის და რევიზიის ცოდნას. ამის გამო ჩვენთვის გასაგებია ის უკმაყოფილება, რომელსაც აქვს ადგილი ახალგაზრდა აგრონომების მიმართ, რომელიც შეიძლება გახდეს შესამჩნევი აგრონომი, სპეციალისტი, ხოლო ძალიან ცუდი ხელმძღვანელი ეკონომისტი. აგრონომს არ შეუძლია იკისროს თავის თავზე ეკონომისტის მოვალეობის ასრულება, ისე, როგორც ეკონომისტი ვერ შეასრულებს აგრონომის მოვალეობას. ამ ფუნქციათა არევ - დარევას მხოლოდ უსიამოვნებისა და ზარალის მეტის მოცემა ჩვენთვის არ შეუძლია. გეგმიანობის ცოდნა ერთის მხრივ, რაც მთავარია ჩვენი მეურნეობისთვის და ცალკე სამეურნეო დარგების განვითარების გზების ალღოს აღება მეორეს მხრივ, საშუალებას მისცემს თანამედროვე საბჭოთა უნივერსიტეტის კურსდამთავრებულს — ეკონომისტს სათანადო პრაქტიკის მიღების შემდეგ სათავეში ჩაუდგეს კოლექტიურ მეურნეობას, საბანკო ორგანიზაციას სხვადასხვა სახის კოოპერატიულ ორგანიზაციას და სხვ.

უნივერსიტეტი ამრიგად უნდა იძლეოდეს არა მარტო თეორიის მცოდნე ეკონომისტებს, არამედ პრაქტიკის მცოდნეობასაც. ამ მხრივ დიდ ცვლილებებს აქვს ადგილი ზემოდანიშნულ გეგმის მიხედვით.

სამი განხრის მაგივრად ჩვენ გვაქვს ოთხი განხრა და ერთი განყოფილება, იურიდიული განყოფილების სახით. კოოპერატიული, სტატისტიკური, ფინანსიური და სავაჭრო - სამრეწველო განხრები იყოფა თავის მხრივ ორ ნაწილად. ასე, მაგალითად: კოოპერატიული განხრა იყოფა კოლმეურნეობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ქვეგანხრებად. სტატისტიკური შესდგება სასოფლო - სამეურნეო და სამრეწველო სტატისტიკისაგან: ფინანსიური — საგადასახადო და საბანკო ქვეგანხრებისაგან და სავაჭრო-სამრეწველო განხრა — ვაჭრობის და სამრეწველო ქვეგანხრებისაგან. იურიდიული განყოფილებაც მოგვცემს ორი სახის სპეციალისტებს: ზოგი მათგანი იქნება მომზადებული სასამართლო დაწესებულებებისათვის, ხოლო დანარჩენი კი — სამეურნეო ორგანიზაციებში სამუშაოდ.

ასეთია დაახლოვებით ის გეგმა, რომელიც დაამტკიცა სოც. - ეკონომიური ფაკულტეტის საბჭომ. ამ გეგმის ცხოვრებაში გატარება, რასაკვირველია, დიდათ არის დამოკიდებული იმ ზედმეტი ხარჯების დაფარვის აუცილებლობასთან, რომელსაც ეს რეორგანიზაცია იწვევს. ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ თავი უნდა დავანებოთ იმ საშუალო საუკუნეებში გაბატონებულ სწავლების მეთოდს, რომელსაც დღემდე ადგილი ჰქონდა ჩვენს უნივერსიტეტში. თუ ყველა საგნები არა, მთავარ საგნებში მაინც უნდა გადავიდეთ სწავლების ლაბორატორიულ მეთოდზე. ასეთ საგნებად მიგვაჩნია: პოლიტიკური ეკონომია, მსოფლიო და კავშირის გეოგრაფია, ისტორიული მატერიალიზმი, კოოპერაციის თეორია, ლენინიზმი, ეკონომიურ მოძღვრებათა ისტორია, ფინანსიური მეცნიერება და სტატისტიკა. ეს მოითხოვს სათანადო კაბინეტების მოწყობას და ამასთან ერთად ხელმძღვანელების რაოდენობის გადიდებას. ყველა ეს საჭიროებს თანხებს.

თუ ისეთ დამოკიდებულებას ექნა ადგილი, განათლების სახ. კომისარიატისას უნივერსიტეტთან, როგორც დღემდე იყო, ჩვენ ახლო მომავალში ვერ შევძლებთ გეგმის განხორციელებას. თანხების არ მიღებას შედეგად მოჰყვება ის, რომ ჩვენ ვერ შევძლებთ ცეკას დირექტივების გატარებას ცხოვრებაში, ახლო მომავალში მაინც. ამის გამო საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს სათანადო ყურადღება.

ალ. ერქომაიშვილი.

სოციალ ეკონომიური განათლების

პერსპექტივები

ახალი კადრების მომზადების პრობლემა, რომელმაც სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციის საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებით აქტუალური ხასიათი მიიღო, თავისთავად წარმოშვა უმაღლესი სწავლის ძირითადი რეორგანიზაციის საჭიროება. სავსებით გასაგებია, რომ უკანასკნელი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს სოციალ-ეკონომიური განათლების დარგში, ვინაიდან, ერთის მხრივ, სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის საკითხები დღეს დღეობით იმდენად გართულებულია საერთო კავშირში, რომ აქ უკვე შეუძლებელია დილეტანტური ცოდნით დაკმაყოფილება. და ამ ფრონტზე თითოეულ მუშაკს, რომელიც ოდნავ საპასუხისმგებლო საქმიანობას მაინც ასრულებს, ბოლშევიკური საკმაო ეკონომიური განათლება მარქსისტ-ლენინიზმის საფუძველზე; მეორეს მხრივ კი, მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ გარდაუვალი ნაბიჯის გადადგმა ბუნებრივად იწვევს უკმაყოფილო ელემენტების აქტივიზაციას და აი ბრძოლაში, რომელიც ამ ელემენტების წინააღმდეგ საბჭოთა იუსტიციის ორგანოებმა უნდა აწარმოონ, სწორ ხაზის გატარებას ეს უკანასკნელები მხოლოდ მაშინ შესძლებენ, თუ ამ ფრონტზედაც თითოეული პასუხისმგებელი მუშაკი საბჭოთა სამართლის დარგში საფუძვლიანად გათვითცნობიერებული და გარკვეული იქნება. ორი ძირითადი პრინციპი უნდა დაედვას საფუძვლად სოციალ-ეკონომიური განათლების რეორგანიზაციას: 1) ახალ სპეციალისტთა გამოშვების ტემპის სისწრაფე და 2) ვიწრო სპეციალიზაციის პრინციპის გატარება; ორივე ეს სახელმძღვანელო აზრი მხედველობაში მიღებული იყო სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის ახალ სასწავლო გეგმის გამომუშავების დროს: ოთხწლიანი სასწავლო გეგმის 3 წლამდე დაყვანა ერთის მხრივ და მეორეს მხრივ 10 ქვე განხრის შემოღება სხვადასხვა სპეციალისტების გამოშვების მიზნით; აღნიშნულ პრინციპების გატარება წარმოადგენს ფაკულტეტის სასწრაფო გეგმის საფუძველს, მაგრამ გეგმის შედგენისას ყურადღება იმასაც ქონდა მიქცეული, რომ როგორც სასწავლო გეგმის გათვალისწინებული სპეციალისტთა ტემპის სიჩქარე, ისე სპეციალიზაციის პრინციპის გატარება ძირითად თეორიულ დისციპლინების შემცირების ხარჯზე არ მომხდარიყო. მოტივი, რომლითაც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა გეგმის შემდგენი კომისია, სავსებით გასაგებია: სპეციალიზაციის პრინციპი არამც თუ არ გულისხმობს ცოდნის შემცირების ძირითად თეორიულ დისციპლინებში, არამედ აუცილებლად მოითხოვს მის გაღრმავებას. აქ ზედმეტი იქნებოდა ფაკულტეტის ახალი სასწავლო გეგმის მთლიანი გადაცემა; ამ საკითხზე ამიტომ არც შევჩერდებით. მხოლოდ რამოდენიმე მოსაზრების მოყვანა აქ საჭიროდ მიგვაჩნია დამატებით იმასთან, რაც ზევით იყო აღნიშნული. ამ ამოცანების შესრულებისათვის, რომლებსაც დღეს საბჭოთა ხელისუფლება უყენებს სოციალ-ეკონომიურ განათლებას, სასწავლო გეგმისათვის ახალი სტრუქტურის მიცემა საკმარისი არ არის. მთავარი აქ არის, თუ როგორ იქნება განხორციელებული ეს გეგმა სინამდვილეში. სასწავლო გეგმის სწორად განხორციელება ბევრ სხვა მომენტებისაგან არის დამოკიდებული, მაგრამ განსაკუთრებით საგულისხმოა ორი მომენტი. იმისათვის, რომ ახალ სასწავლო გეგმით დასახული მიზნები მიღწეული იქნეს, პირველ რიგში აუცილებლად საჭიროა ყველა სასწავლო დისციპლინების ლაბორატორიულ მეთოდზე გადასვლა. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტობის მხრივ საფუძვლიანი შეთვისება ყველა იმ ძირითად დისციპლინების, რომელიც გეგმაში არის გათვალისწინებული. მეორე აუცილებელ პირობას—მუდმივი საწარმოო პრაქტიკის შემოღება წარმოადგენს. ამ მხრივ ფაკულტეტზე თითქოს არაფერი არ არის გაკეთებული და საჭიროა მთელი მუშაობა უახლოეს მომავალში შესრულებული იქნეს.

ი. სურგულაძე

ლობის დროს, აქაც პარტიის ხაზი სულ სხვა არის, ვინემ „მემარცხენე" პანიკიორების ხაზი. სასტიკად უნდა აიკრძალოს ყოველგვარი ადმინისტრატიული დაწოლა კოლმეურნეობის მშენებლობის საქმეში. თვით ღარიბი და საშუალო გლეხობისაგან უნდა გამომდინარეობდეს სურვილი კოლმეურნეობების მშენებლობისა და არას დროს, არას შემთხვევაში კოლმეურნეობაში ძალით, დაძინებით, ჩინოვნიკურად არ უნდა იქმნან შეყვანილი ღარიბი და საშუალო გლეხობა. მხოლოდ და მხოლოდ ღარიბი და საშუალო გლეხობის სურვილზე უნდა ემყარებოდეს ჩვენი საბჭოთა და პარტიული ორგანოები და აი ამ მასის მოძრაობას უნდა მიმართავდენ სოფლად სოციალიზმის მშენებლობისათვის. ყველა ღონისძიება განკულაკებისა უნდა გატარებულ იქნეს ულარიბეს და საშუალო გლეხობის სურვილის მიხედვით და ეს ღონისძიებები უნდა ეყრდნობოდეს ღარიბი და ულარიბესი მასის დახმარებაზე. ამ ღონისძიებების გატარებას უნდა მოითხოვდეს არა ერთი და ორი პიროვნება, არამედ საერთო კრება ულარიბესი და ღარიბი გლეხობის. სწორედ ამ ნიადაგზე შევძლებთ პარტიის გენერალურ ხაზის გატარებას სოფლად და თავიდან ავიცილებთ „მემარცხენე" მოლაყბეთა თამაშს კოლექტივიზაციით.

მობილიზაცია გლეხობის ჩვენი ფენების, მათი დარაზმვა განსაზღვრულ პლატფორმაზე — კოლმეურნეობის მშენებლობის აუცილებელი პირობაა. სანამ ეს პირობა სინამდვილეში არ არსებობს, სანამ გლეხობის საშუალო და ულარიბესი ნაწილი მხარს არ გვიჭერს, მანამ გადასვლა მთლიან კოლექტივიზაციაზე არ იქნებოდა მიზანშეწონილი და ამიტომ ის ჩვენთვის მიუღებელია.

გარდა ამისა არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს კოლექტივიზაციის ტემპის განსაზღვრის დროს მთელ რიგ პირობებს, რომელიც ანსხვავებს ამიერ - კავკასიას საერთოდ და კერძოდ საქართველოს, საკავშირო რესპუბლიკების იმ რაიონებისაგან, სადაც ხორბლეულის დამზადება ფართოდ ტარდება ამ უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში (ჩრდილოეთ კავკასია და სხვ.). ამ რაიონებში ხორბლეულის დამზადების დროს კარგა ხანია ტარდებოდა წინასწარი მომზადება კოლექტივიზაციაზე გადასვლის, მაგ. საბჭოთა მეურნეობის მოწყობა, საჩვენებელი კოლმეურნეობის შექმნა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მოწყობა, პოლიტიკური, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი მუშაობა კულაკის სამეურნეო ავტორიტეტის დასაცემად და ღარიბ და საშუალო გლეხობის დარაზმვისათვის კულაკების წინააღმდეგ. აი სწორედ ეს ღონისძიებანი განსაზღვრავს იმ ჩქარ ტემპს კოლმეურნეობის მშენებლობისას, რომელსაც ადგილი აქვს ამ რაიონებში. ჩვენში ამგვარი ტრადიცია არ არის შექმნილი. გარდა ამისა ნაციონალური და რელიგიური ნაშთი ძველ ურთიერთობისა ჩვენს ჩამორჩენილ რაიონებში ხელს უწყობს, რომ კულაკურ ელემენტებმა შეეცადონ ერთ მთლიან ფრონტზე დარაზმოს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გლეხობის ჩვენი ფენები.

აი სწორედ, სანამ არ გაგვიშიშვლებია საკმაოდ, თვალსაჩინოდ ამ რაიონებში ფეოდალურ და რელიგიურ ურთიერთობის ბურუსში გახვეული კულაკური და მისი კაპიტალისტური მისწრაფებანი, სანამ საკმაო სიძლიერით არ დაგვირაზმავს კულაკობის წინააღმდეგ ულარიბესი და საშუალო გლეხობა, სანამ არ შეგვიქმნია უტყუარი სოციალურ-ეკონომიური ბაზა კოლმეურნეობაში ღარიბი და საშუალო გლეხობის გასაერთიანებლად, რასაკვირველია, ყოველგვარი გაკიდება კოლექტივიზაციის ციფრებისადმი, ყოველგვარი თამაში კოლექტივით, ყოველგვარი ადმინისტრატიული დაწოლა კოლექტივში გასაერთიანებლად, ემსახურება არა პარტიის და საბჭოთა ხელისუფლებას, არამედ ეწინააღმდეგება მას.

ამიტომ განკულაკება უნდა ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში და არა ამ რაიონებს გარეშე. ამ რაიონებს გარეშე უნდა სწარმოებდეს ისეთი წინასწარი მუშაობა, რომელიც ხელს შეუწყობს გლეხობის ჩვენი ფენების დარაზმვას კულაკების წინააღმდეგ და ამით მოგვცემს საშუალებას ახლო მომავალში აქაც დავიწყოთ კოლმეურნეობის ფართე მშენებლობა, ულარიბესი და საშუალო გლეხობის სურვილისამებრ.

დავ. დოლიძე.

უმაღლეს სასწავლებლების

მმართველობის რეფორმისათვის

ს.კ.პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმმა, კადრების მომზადების საკითხთან დაკავშირებით, მიზანშეწონილად აღიარა უმაღლეს სასწავლებლის მმართველობაში რეფორმის გატარება, მართველ აპარატის მოქნილობის გაუმჯობესების, პასუხისმგებლობის გაძლიერების და კადრების მომზადების დაჩქარებისათვის. იმავე პლენუმმა აგრეთვე დროულად და საჭიროდ სცნო სტუდენტთა ორგანიზაციების განთავისუფლება ადმინისტრატიულ - სამეურნეო მმართველობისაგან. აღნიშნულის გარეშე არსებობს დღეს სპეციალური დადგენილებაც, საკავშირო სახალხო კომისართა საბჭოსი (იხ. „იზვესტია" ა.-წ. 13 იანვრის), სადაც სხვათა შორის ნათქვამია: **„Заменит выборность органов управления высших учебных заведений (ректорор, проректоров, деканов и т д.) назначением их ведомствами, введений которых находятся учебные заведения.**

აღნიშნული დირექტივის განხორციელება, საჭირო და აუცილებელია ჩვენ უნივერსიტეტშიაც, რომლის წინაშე მეტად რთული და სერიოზული ამოცანებია დასმული: ეკონომისტების, ექიმების, პედაგოგების და ექიმთა ახალი კადრების მომზადების საქმეში.

ჩვენი უნივერსიტეტი მმართველობის იმ სტრუქტურით, რაც მას ტრადიციულად შერჩენია დღემდე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს მასზე ამჟამად დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას, რადგან არსებული სტრუქტურა უფრო გაუთავებელი პარლამენტარული სათათბიროებია, ვიდრე მოქნილი მმართველობითი აპარატი. ავიღოთ: საგნობრივი კომისია, დეკანატი, ფაკ. საბჭო, რექტორატი, გამგეობა, უნივერსიტეტის საბჭო და ასე შემდეგ. მუშაობის ნორმალურ პირობებში აღნიშნულ ინსტანციებში საკითხების განხილვას უნდება არანაკლებ ორი თვისა, ხოლო თუ ამ ინსტანციების გვერდის ავლით დაისვა საკითხი, მაშინვე ის ქვემდებარე საფეხურს უბრუნდება, არსებული წესით წარმოსადგენად; ამით იწყება ხელახალი გაუთავებელი მოძრაობა საქმისა: მიმოწერა, შეთანხმებები და სხვ.

ზოგიერთ ორგანოებს მხოლოდ უსიცოცხლო ფუნქცია აქვს, როგორიცაა უნივერსიტეტის საბჭო. რისთვის არსებობს დღეს ის? მხოლოდ იმისათვის, რომ შეიკრიბოს წელიწადში ერთხელ და გამგეობა ამოირჩიოს. ავიღოთ გამგეობა, სადაც შეკრებილია: პროფესურის, დაბალ პედ. პერსონალის, ფაკულტეტების, სტუდენტობის და სხვათა წარმომადგენლები რიცხვით 33 კაცი. სხვა მხრივ, რომ არაფერი ვსთქვათ, მისი რიცხობრივი შეადგენლობა გვაუბნება პირდაპირ მის ბიუროკრატიულ ბუნებაზე, ვიდრე ხელმძღვანელ ორგანოს ხასიათზე.

დაისმება თუ არა საკითხი გამგეობაში დაიწყება ფაკულტეტის წარმომადგენლების „პატრიოტული" სიტყვები: „ჩვენ ფაკულტეტს ეს უნდა", „თქვენს ფაკულტეტს ეს არ ეკუთვნის" და ამგვარად 3-4 საათიანი დისპუტით 1-2 საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა იშლება და იძულებული ხდებიან საკითხები 4-5 წევრის მონაწილეობით განიხილონ. ფაკულტეტის წარმომადგენლებს თავიანთ ფაკ. საკითხების განხილვის შემდეგ, ცხადია, არ აქვთ ინტერესი სხდომაზე მოცდის. ამიტომაა, რომ ხშირად სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ გამგეობაზე ზოგიერთი ხელმძღვანელნი „თუ განცხადება გამგეობაში შეიტანე, იმედი ნუ გაქვს შედეგს ვერ ეღირსებით"-ო.

გამგეობის სხდომების უდიდესი დრო წინა სხდომის ოქმების განხილვა-დამტკიცებაზე იხარჯება. იგივე ითქმის ფაკ. საბჭოს დეკანატისა და საგნობრივი კომისიების შესახებაც. ასეთი გაუთავებელი სხდომებით, თათბირები, და თუ ამას მივუმატებთ სხდომებზე გამოცხადების ჩვენს არისტოკრატიულ ჩვეულებას, ცხადი გახდება, რომ ჩვენ ზედმიწევნით ვტვირთავთ როგორც პროფესურას, ისე სტუდენტობას. აქ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ასეთ პირობებში თანდათან ეცემა შრომის ნაყოფიერება. მაგ. 28-29 სამოსწავლო წელში კურსებზე დარჩენილთა და გარიცხულთა რაოდენობა აღწევდა 1072 კაცამდე, ხოლო პარალელურად ამისა იყო შემთხვევები, რომ პროფესურა მოუმზადებელი მოდიოდა ლექციებზე, კითხულობდენ ათი წლის წინედ შედგენილ ლექციებს ყოველგვარ ახალ დამატებებისა და განმარტებების გარეშე. ასეთ შემთხვევებში, უნივერსიტეტის რექტორი და ფაკულტეტის დეკანები უფრო გაუთავებელ სხდომებისა და თათბირების თავმჯდომარეებია, ვიდრე უშუალო ხელმძღვანელნი და პასუხისმგებელნი უნივერსიტეტის მიმდინარე მუშაობისა და ამოცანების.

ასეთ მდგომარეობაში კითხვა ისმება — შეძლებს თუ არა გამგეობა თავისი ბუნებით გახდეს უშუალო ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი იმ დადგენილების რეორგანიზაციისა, რაც ნოემბრის პლენუმმა მოგვცა კადრების შესახებ? ვფიქრობთ, რომ ვერ შესძლებს. რაც შეეხება სტუდ. ორგანიზაციების განტვირთვას ადმინისტრატიულ - სამეურნეო მართველობისაგან, მართალია ამ ბოლო ხანებში სტუდენტობამ უარი თქვა ზოგიერთ ადმინისტრატიულ ფუნქციებზე, მაგრამ აქ საჭიროა არა ზოგიერთ, არამედ ყველა ადმინისტრატიულ - სამეურნეო ფუნქციების გადაცემა უნ-ტის ადმინისტრაციაზე და ისიც ერთბაშად და არა ნაწილ - ნაწილად, როგორც ეს გარკვევით აღნიშნა საქ. პროლეტარულ სტუდენტობის ც. ბ. უკანასკნელმა პლენუმმა (იხ. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ" ამა წლის 28 იანვრის). გაკვრით სიტყვა — რექტორისა, პრორექტორებისა და დეკანების შესახებ. როგორც სამართლიანად აღნიშნავს ვიშინსკი სიტყვა „რექტორ" არის წოდება, რომელსაც ატარებდა ბერების კოლეგიის უფროსი, ხოლო „დეკანუს", ეწოდებოდა მონასტრების ხელმძღვანელს (იხ. „იზვესტია" ამა წლის 29 იანვრის „იტოგი რექტორსკოგო სოვეშ"). ასევე ითქმის პრორექტორების შესახებ. ვკითხულობთ: ვისთვის არის დღეს საჭირო, რომ ახალი უნივერსიტეტის, როგორც სოციალისტური მშენებლობის კადრის, ქურის ხელმძღვანელნი ატარებდენ ბერ-მონაზვნების და მონასტრების ბატონობის დროინდელ სახელწოდებას? **ცხადია, არა ჩვენთვის, არა ჩვენი დროისათვის.**

მაშასადამე, კადრების პრობლემის განხორციელება ჩვენს სინამდვილეშიაც უეჭველად ითხოვს მმართველობის სტრუქტურის ძირითად რეფორმას, მის გადაყვანას ერთმმართველობის სისტემაზე.

უმაღლეს სასწავლებლის დირექტორი (წინედ წოდებული რექტორი) და ფაკულტეტის გამგეები ადმინისტრატიულ - პედაგოგიურ დარგში უნდა იყოს უშუალო ხელმძღვანელნი და პასუხისმგებელნი, როგორც **თავისებურ სახელოსნოს და თავისებურ ცეხის.** უმაღლეს სასწავლებლის საბჭო მისი უსიცოცხლო ფუნქციიდან უნდა გადავიდეს ცხოველმყოფელ მუშაობაზე, რომ უმაღლესი სასწავლებლის საქმიანობა წარიმართოს მიმდინარე სოციალისტურ მშენებლობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. გამგეობის, ფაკ. საბჭოს, დეკანატის და სხვათა ნაცვლად მუშაობაში, ფართო მასების ჩაბმისა და მათი ინიციატივის გამოყენების მიზნით უნდა გაიშალოს ფართო ქსელი საწარმოო თათბირების.

ადგილობრივ პროფორგანიზაციის და სტუდენტთა პროფსექციის საქმიანობა სწორედ აქეთკენ უნდა წარიმართოს, რომ არსებული კარჩაკეტილობა შეიცვალოს ფართო მასიური მუშაობით.

ერთმმართველობის შემოღებამ სათანადოთ უნდა ასწიოს შრომის დისციპლინა როგორც მეცნიერულ მუშაკთა, ისეს სტუდენტთა შორის. აღნიშნული რეფორმის გატარებაში უდიდესი როლი ეკისრება სტუდენტთა პროფ. ორგანიზაციებს, როგორც ამას ბუბნოვი ამბობდა სრულიად რუსეთის რექტორთა თათბირზე: **Переход к единоначалию можно совершить в максимально короткий срок, только в том случае, если студ. организаций правильно поймут те об'язательства, которые лежат на них в области реформы высшей школы (см. „Известия" 17 янв с. г.**

ტირილი, აკადემიური ტრადიციის დაკარგვის შესახებ, ადგილობრივი პირობების მომიზეზება და სხვა ასეთი, ვისგანაც არ უნდა იყოს ეს, ერთი წუთითაც არ უნდა შეუშალოს ხელი დროიანად დასახულ ღონისძიებების გატარებას ცხოვრებაში.

„შერ".

ადმინისტრატიულ ფუნქციებიდან
კულტურულ და აკადემიურ საქმიანობისაკენ

საბ. უნივერსიტეტის გასაბჭოება, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაგვიანებით მოხდა; იყო წლები, როცა კომუნისტებს აქ ებრძოდა ზოოლოგიური შოვინიზმით და ანტისაბჭოთა აზრებით გაჟღენთილი პროფესურა და სტუდენტობა. სტუდენტთა ორგანიზაციის საქმიანობას მაშინ გასაქანი არ ქონდა. ის იბრძოდა ამ ანტისაბჭოთა განცდების წინააღმდეგ. მოხდა გარდატეხა. პარტიამ და ხელისუფლებამ დამკვრელ ამოცანად დასვა დღის წესრიგში უნივერსიტეტის საბოლოოდ დაპყრობის საკითხი. უნივერსიტეტში პარტიამ წარმოგზავნა კომუნისტური ძალები, საბჭოთა ელემენტები. ზოგი ადრე და ზოგი გვიან—ჩვენთან მოვიდა პროფესურის საუკეთესო ძალები. 1926 წლიდან უნივერსიტეტის ადმინისტრატიული მწვერვალები უკვე ჩვენს ხელში არის. მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა დიდი იყო, მტრები ფარხმალს არ ყრიდენ, ბევრი დღესაც ფიქრობს ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ამაოდ. ესენი ღამურები არიან, რომლებიც დღის სინათლეზე დაფრთხალნი კედლებს ენარცხებიან, მათ ძალიან უმნიშვნელო, სუსტი და განადგურებული ჯარი ყავთ, რომელიც დღითი-დღე სულს ღაფავს.

გასული წლების მუშაობის ამ მანძილზე სტუდენტთა ორგანიზაციას, როგორც მთლიანს, ერთგული გვერდში ედგა პარტიას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, უნივერსიტეტის რეორგანიზაციის მოხდენის საქმეში. ადმინისტრატიული რეორგანიზაცია დღეს დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. დღის წესრიგში სდგას აკადემიური რეორგანიზაციის საკითხი—ახალი კადრების მომზადება, სპეციალისტების გამოშვება. დღემდე სტუდენტთა ორგანიზაციის ხელში იყო მთელი რიგი ადმინისტრატიული ფუნქციებისა. ეს დასაშვები და მისაღები იყო საერთო საქმის ინტერესებისათვის, რადგან გამგეობას, რომელიც სათავეში ედგა რეორგანიზაციის საქმის ჩატარებას, არ ჰქონდა საშუალება ყველა ფუნქციები შეესრულებია, მაგრამ დღეს კი სულ სხვანაირად დგას საკითხი. ეხლა გამგეობას საამისო საშუალება აქვს, სტუდენტობას სხვა საქმეები აქვს გასაკეთებელი და ადმინისტრატიული ფუნქციიდან ჩამოშორება აუცილებელია, შეიძლება ეს დაგვიანებითაც ხდებოდეს. დღემდე სტუდ. ორგანიზაციების ხელში იყო სტიპენდია, ბინების და სასადილოებზე მზრუნველობა, ბოლოს ამას დაემატა კონტრაქტაციის საქმეც. სტუდენტთა ორგანიზაცია იღებდა განცხადებებს უნივერსიტეტიდან გამორიცხულთა აღდგენის, კურსებზე დარჩენის ან გადაყვანის შესახებ, ჩვენს ხელში იყო აგრეთვე ლიტერების საქმეების მოწესრიგება, რის გამოც საქმებით დატვირთული იყო სტუდენტთა აღმასბიურო; დღეს ყველა ეს საქმეები 1930 წლიდან გადაცემული აქვს უნივერსიტეტის გამგეობას, რომელიც მოვალეა იზრუნოს ისე, როგორც ეს საჭიროა.

საითკენ უნდა წარიმართოს სტუდენტთა ორგანიზაციის მუშაობის გენერალური ხაზი დღეიდან? პირველ რიგში აკადემიური დონის აწევისაკენ, კადრების მომზადების დაჩქარებისაკენ, უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის რეორგანიზაციისაკენ. ჩვენ დამკვრელ ამოცანად უნდა დავსახოთ კულტურულ და მასიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობის გამოცოცხლება, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა, ისე, რომ, ეს უკანასკნელი ყველა ცალკე სტუდენტს უშუალოდ ეხებოდეს და გაასაზღვრულ პასუხისმგებლობას აკისრებდეს.

საბ. უნივერსიტეტის სტუდენტთა მე-4 კონფერენცია შეეხო რა ამ საკითხეს, მოგვცა გარკვეული მითითება ამ დარგში, დაყოვნება და შეჩერება ამ ფრონტზე ბრძოლისათვის განსაზღვრული დანაშაულია.

დღემდე ჩვენ სუსტი ვართ მასიური ფორმების მუშაობაში. ყველასათვის ცხადია, რომ უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობისათვის დატოვებულ სტუდენტობაში მცირეა მტკიცე და საიმედო დასაყრდენი კადრი, მოისუსტებს ჩვენი სამეცნიერო წრეები, კულტურულ და მასიურ ნებაყოფლობით საზოგადოებებში სტუდენტობა არ არის საკმაოდ ჩაბმული, ზოგი მათგანი სრულებით არაფერს აკეთებს, არც ერთი სტუდენტი არ უნდა დარჩეს სამეცნიერო წრეებისა და კულტურულ საქმიანობის გარეშე. ამჟამად მიმდინარე დამკვრელ ბრიგადების შექმნის საქმეში ფართოდ უნდა ჩაებას ჩვენი სტუდენტობის საუკეთესო ნაწილი.

აღმასბიუროს პლენუმმა გამოიტანა სათანადო დადგენილება სტუდენტთა ორგანიზაციების ახალ რელსებზე გადაყვანასთან დაკავშირებით მუშაობის სისტემისა და წესების შესახებ. არავის არ უნდა დარჩეს ის შთაბეჭდილება, რომ თუ სტუდენტთა ორგანიზაციებმა გადასცა გამგეობას ადმინისტრატიული ფუნქციები, რომელიც დღემდე ჩვენს ხელში იყო, რომ მათზე ზრუნვა აწი საჭირო არ იქნება, პირიქით, სტუდენტთა ორგანიზაციის გამგეობას მოსთხოვს იმ ვალდებულებას, რომელიც უშუალოდ სტუდენტობას ეხება, რათა ის მაქსიმალური შესაძლებლობით იქნას შესრულებული. სტუდენტთა ორგანიზაცია არამც თუ არ სცილდება ამ საქმეში პასუხისმგებლობას და სათანადო მონაწილეობას, არამედ პირიქით, აქ ერთი მხრივ გამგეობასთან ერთად მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის საერთო საქმიანობაში, რათა ამ უკანასკნელთან ერთად მტკიცედ შეასრულოს პარტიისა და ხელისუფლების დავალება და გადაწყვეტილება უმაღლეს სასწავლებლების შესახებ. პროლეტარულმა სტუდენტობამ დამკვრელ ამოცანად უნდა გაიხადოს თავისი აქტიური მონაწილეობა ამ ახალი ამოცანების შესრულებაში და სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელ ორგანოებთან გვერდში ამოდგომით შევასრულოთ სოციალიზმის მშენებლობის ღირსეული კადრების მომზადების საქმე.

კლ. აბუსერიძე.

ვემზადოთ კ. კ. წმენდისათვის

კომკავშირის ორგანიზაცია უახლოეს თვეებში შეუდგება თავის რიგების შემოწმებას, რომლის მიზანია გაწმინდოს კომკავშირის ორგანიზაცია შემთხვევითი — მიტმასნილ პოლიტიკურად მერყევ და ყველა იმ ელემენტებისაგან, რომელნიც პირადი ანგარიშით შევიდნენ კომკავშირში და არა თავისი პოლიტიკურ-იდეური რწმენით. ამავე დროს შემოწმებამ უნდა გვიჩვენოს კომკავშირის ზრდა - უნარიანობა, სახელდობრ, თუ რამდენად ღირსეულად ასრულებს იგი პარტიის ამოცანებს მიმდინარე პერიოდში, და რამდენად ის ერკვევა მიმდინარე რთულ პრობლემებში. ამგვარად, კომკავშირის შემადგენლობის შემოწმება უნდა გადაიქცეს პოლიტ.-იდეურ აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერების საშუალებად.

ჩვენს პირობებში — უნივერსიტეტში, კომკავშირის წმენდა მეტად რთული ამოცანაა, რადგან მასა ორნიზაციისა მეტად ცვალებადია და ძნელი ხდება მათი ყოველმხრივი შესწავლა, რის გამო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება თითოეულ კომკავშირელს, წმენდის მოსამზადებელი მუშაობის ღირსეულად ჩატარებისათვის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა აქედანვე დავიწყოთ მოსამზადებელი მუშაობა, რისთვისაც უნდა გავატაროთ შემდეგი:

1) საკითხი უნდა დამუშავდეს დეტალურად, როგორც კომკავშირის აქტივის, ისე კომკავშირის მასის წინაშე.

2) კ.კ.-ის ბიუროებმა აქედანვე უნდა შეუდგენ თითოეულ წევრის ყოველმხრივ შესწავლას.

3) უნდა მოხდეს დეტალური აღრიცხვა იმისი, თუ ვის რა „ცოდვები“ აქვს ჩადენილი ორგანიზაციაში და რა სასჯელი აქვს ამ ნიადაგზე მიღებული.

4) საჭიროა უჯრედების ბიუროებმა შეამოწმონ პერიოდულად დავალებათა შესრულება და შესრულების ხარისხი თითოეულ კომკავშირელზე.

წევრთა დეტალური შესწავლა უნდა მოხდეს სხვადასხვა საშუალებებით. ესენი არის: 1) აქტივის სხდომებზე ინდივიდუალური დახასიათებანი; 2) მაზრების, სარაიონო ორგანიზაციების დახასიათება; 3) საზაფხულო პერიოდში წარმოების საკონტროლო ფურცლების დამუშავება - გამოყენებით: 5) საინიციატივო ჯგუფებში მონაწილეობის მიხედვით. ამას გარდა ვფიქრობ, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს აკადემიური წარჩინების საკითხს. ჩვენ გვაქვს მთელი რიგი ფაქტებისა, როცა ზოგიერთი „კომკავშირელი“ ორი და ზოგჯერ სამი წელიწადი ერთიდა იმავე კურსზე ზის. ასეთი ხალხი ორგანიზაციის გარეშე უნდა დარჩეს.

ვიმეორებ, წმენდის ჩატარება უნივერსიტეტის კომკავშირში თავისებური და ძნელია, მაგრამ ვფიქრობ, კომკავშირის მასის დარაზმვით და პარტხელმძღვანელობის უზრუნველყოფით ჩვენ შევძლებით კომკავშირის რიგების წმენდის ღირსეულად ჩატარებას.

ვ. მეტრეველი.

ყურადღება
იურისტებს

შემცდარია ის აზრი, თითქოს კადრების მომზადების საკითხი იურისტებზე არ ვრცელდებოდეს. თუ ჩვენი მეურნეობა და სოციალისტური მშენებლობა მოითხოვს: ინჟინრებს, ეკონომისტებს, ექიმებს, აგრონომებს და პედაგოგებს, ის არა ნაკლებათ განიცდის იურისტების შიმშილს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ რევოლიუციონურ კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარება და კლასიური ხაზის დაცვა. მაგრამ საუბედუროთ იურისტების მომზადების საკითხს ნაკლები ყურადღება ექცევა. გასული წლის 1-ლ ნოემბერს გაგზავნილ იქნა იუსტკომში 18 პრაქტიკანტი სტაჟიორი. ეს ხალხი მუშაობდა აღნიშნულ კომისარიატში 1930 წლის იანვრამდე, შემდეგ კი ყველანი მოხსნილი იქნა გაცილებით უფრო ადრე პრაქტიკის ვადის გათავებამდე. აი ასე გაიგო იუსტკომმა განუწყვეტელ საწარმოო პრაქტიკის შინაარსი. სოც. ეკონომიური ფაკულტეტის დეკანი ამ საკითხის შესახებ სდუმს და თუ ასეთი დაუშვებელი გულგრილობა წითელი იურისტების მომზადების საკითხისადმი გაგრძელდა, პარტიის დირექტივები დამახინჯებულათ იქნება ცხოვრებაში გატარებული. ჩვენ უნდა აღვზარდოთ წითელ იურისტთა კადრი, რათა წარმოება-დაწესებულებებში და წითელ იუსტიციაში არ იყვნენ მოკალათებული ნინიძეები და გიორგაძეები.

კალენიკე გეროძე.

საკითხი, რომელიც გადადებას არ ითმენს

მიმდინარე წლის მე-2 სემესტრი დაიწყო და საჭიროა არის დაუყონებლივ შევუდგეთ სისტემატიურ ბრძოლას იმ დეფექტების აღმოსაფხვრელად, რომლის შესახებ ღაღადებს ჩვენი უნივერსიტეტის სინამდვილე. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ბოლო მოუღოთ ქირურგიული ზომებით ლექციებზე და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე დაუსწრებლობას. დროა მოისპოს ჩვენი უნივერსიტეტის დერეფნებში უსაქმოდ ხეტიალი, ლექციების საათებში. დროა გამგეობამ დაუყონებლივ დასვას საკითხი, რათა უნივერსიტეტი განთავისუფლდეს „სტუმრებისაგან“, და იმ მკვდარი სულებისაგან, რომლებიც მხოლოდ ფორმალურად ირიცხებიან სტუდენტთა სიაში.

საჭიროა, რომ არც ერთი სტუდენტი არ დარჩეს სამეცნიერო წრის გარეშე, არც ერთი სტუდენტი არ აცდენდეს სასწავლო წელს და, ბოლო მოეღოს ორწლიანობას ერთიდა იმავე კურსზე.

ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში სოციალისტური შეჯიბრება სტუდენტთა შორის სუსტად მიმდინარეობს. საჭიროა თავი დავაღწიოთ ინერტიულ მდგომარეობას. განსაკუთრებით დღეს, როდესაც კადრების მომზადების პრობლემა მწვავედ არის დასმული ჩვენს წინაშე, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მდგომარეობა, როდესაც ყოველ კათედრასთან ჩამოყალიბებულია დაწინაურებულ სტუდენტთა ჯგუფები, თუ ყოველივე ამას არ მივაქციეთ ყურადღება, მეორე სემესტრის დასაწყისშივე, სტუდენტთა აქტივი და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, დაიმსახურებს სასწავლო წლის ბოლოს ღირსეულ გაკიცხვას.

სტ. ყ—იანი.

თეორიის პრაქტიკასთან
დაკავშირებისათვის

თუ გადვხედავთ ჩვენი უნივერსიტეტის საქმიანობას წარსულში და ეხლა თეორიის პრაქტიკასთან დაკავშირების თვალსაზრისით მივალთ იმ დასკვნამდი, რომ ამ მხრივ გარდა ზოგიერთი გამონაკლისებისა თითქმის არაფერი არ გაკეთებულა. ამ გამონაკლისთა შორის კი აღსანიშნავია 1930 წელს 10 იანვარს, საექიმო ფაკულტეტის სამეცნიერო ექსკურსიის გამგზავრება აფხაზეთის სამკურნალო ცენტრებში როგორიცაა სოხუმი, გაგრა და სხვა. ამ მრავალ რიცხოვანმა ექსკურსიამ (45 სტუდ.) თეორიული ცოდნა საქართველოს სამაზრო კურორტების კლიმატოლოგიის, მკურნალობის, მეთოდების, სანატორიუმების კეთილმოწყობას და სხვათა შესახებ **დაუკავშირა პრაქტიკას.** მათ დაათვალიერეს და შეისწავლეს სოხუმის საუკეთესო სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები, როგორიცაა: „გულრიპში“ (ლენინის სახელობის სანატორიუმები) „აზრა“ (ორჯონიკიძის სახელობის დასასვენებელი სახლი) „სამხედრო სანატორიუმი“ სოხუმის ფიზიო-ტერაპევტიული ინსტიტუტი“ საავადმყოფოები და სხვა სამკურნალო დაწესებულებანი როგორც კეთილმოწყობის აგრეთვე მკურნალობის მეთოდების მხრივ.

გარდა სამკურნალო დაწესებულებათა, ექსკურსია გზადაგზა ეცნობოდა ღირსშესანიშნავ ადგილებს როგორიცაა ძველი და ახალი გაგრა, საბჭოთა მეურნეობა, მოწყობილი ყოფილ ათონის მონასტრის ტერიტორიაზე, სოხუმის „მაიმუნების საცდელი ინსტიტუტი და სხვა. უნდა აღინიშნოს, რომ ექსკურსიის მიზნები მიღწეულ იქნა შეძლებისდაგვარად 100 პროც.

დასასრულ უსურვებთ უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტებსაც მიბაძონ ამ სანიმუშო მაგალითს. რატომ არ შეიძლება, რომ ეკონომიურმა ფაკულტეტმა ადგილობრივ დაათვალიეროს კოლექტიური მეურნეობანი და გაეცნოს ჩვენი კავშირის ეკონომიურის თვალსაზრისით ღირსშესანიშნავ ადგილებს როგორიცაა: ბაქოს ნავთი ურალის და დონის სიმდიდრენი სვანეთის და აფხაზეთის ტყეები და სხვა. და ამით თეორია **დაუკავშიროს პრაქტიკას.**

ბ. წულეისკირი.

როგორ მიმდინარეობს სოც. შეჯიბრება
სამკ. ფაკულტეტზე

სამკურნალო ფაკულტეტი მუშაობის საერთო ფერხულს არ ჩამორჩა და სოციალისტურ შეჯიბრში გამოიწვია აგრონომიული ინსტიტუტი, რომელთანაც ხელშეკრულება დაიდო 29 ოქტომბერს 1929 წელს. ხელშეკრულებაში შეტანილია ყველა ის მუხლები, რომლებიც ითვალისწინებს ახალგაზრდა სპეციალისტების მეცნიერულად და პრაქტიკულად მომზადების გაღრმავებას და მშრომელ მასებთან დაახლოვებას. ამ მუშაობის გაღრმავების მიზნით სოც. მშენებლობით დაინტერესებულმა სტუდენტობამ და მასწავლებლებმა სოც. შეჯიბრი გადაიტანა კურსებზე, კურსთა შორის კათედრებზე და ინდივიდუალურ შეჯიბრების სახით. ამრიგათ დღეს-დღეობით მდგომარეობა ასეთია: მე-6-ე კურსმა გამოიწვია მე-5 კურსი, როგორც სტუდენტობა, ისე მასწავლებლობა მე-3 კურსმა მე-4 კურსი, მე-2 კურსმა 1-ლი კურსი. ასე მოხდა ზოგიერთ კათედრებს შორისაც. ასე, რომ კათედრებს შორის დღეს დღეობით მიმდინარეობს ეს კამპანია და ვფიქრობთ არ დარჩება არც ერთი კათედრა ამ მოკლე დროში სოც. შეჯიბრების გარეშე.

ბოლო დროს აღრიცხულია რამოდენიმე ჯგუფური და ინდივიდუალური შეჯიბრებაც. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ამ შეჯიბრებამ ჩვენს ფაკულტეტებზე თავისი ნაყოფი გამოიღო, რაც გამოიხატება ლექციებზე და პრაქტიკანტებზე დამსწრე სტუდენტთა რიცხვის მომატებაში, პედაგოგიურ პერსონალის მხრივ უმიზეზოდ ლექციების და პრაქტიკულების დაგვიანება-გაცდენის მოსპობაში, ნებაყოფლობით ორგანიზაციების წევრობის მსურველთა გაზრდაში და სხვა. ყველა ამ მუშაობაში ჩაბმული ჩვენი პედ. პერსონალის და სტუდენტობის დიდი უმრავლესობა, სასურველი კი იყო ამ მუშაობაში კიდევ მეტის ჩაბმა, რათა შეერთებული ძალღონით შევბრძოლებოდით ყველა იმ დაბრკოლებებს და დეფექტებს, რომელიც აღნიშნული იყო კადრების მომზადების საკითხის ირგვლივ ნოემბრის პლენუმის მიერ და რის შესრულებისათვის კიდევ მეტი ენერგიის დახმევაა საჭირო ჩვენი მშენებლობით დაინტერესებულ ამხანაგების მხრივ.

ვალია გიორგაძე.

იურიდიული დარგის გარშემო

ყოველი დარგის სპეციალისტების მომზადებას მოექცა მაქსიმალური ყურადღების ცენტრში, ხოლო უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლის დარგი იმდენად მიეცა მივიწყებას, რომ თითქოს მისი უნივერსიტეტში არსებობა სხვათა შორის იყოს გამოწვეული. უნივერსიტეტის ზოგიერთი ამხანაგები, ოფიციალურად, თუ არა ოფიციალურად ხშირად აცხადებენ ამ დარგის ზედმეტად არსებობას. ზოგიც ცდილობს მის „გათრევას“ სახელის გამოცვლით, ეკონომფაკულტეტის რომელიმე განყოფილებაში და განხრაში მოქცევით. როგორიც ითქვა, ამ დარგის არსებობა-საჭიროებაზე, აქა იქ არის ლაპარაკი, მაგრამ რატომღაც ვერ დაისვა ეს საკითხი სათანადო ორგანოებში და არ მიეცა გარკვეული პასუხი, მით უმეტეს ამ დარგზე ირიცხება 266 სტუდენტი, რომელთა შენახვაზე იხარჯება დაახლოვებით 13 ათასი მანეთი, რაც საგრძნობ თანხას წარმოადგენს ხელისუფლებისთვის და მით უმეტეს ეს დღევანდელ ხანაში.

ჩვენის აზრით კი უნივერსიტეტში საბჭოთა სამართლის დარგის არსებობა ჯერ-ჯერობით აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგან სახელმწიფოსა და კლასების არსებობასთან ერთად არ შეიძლება არ არსებობდეს სასამართლოს ორგანოებიც. აქ შეიძლება ვინმემ სთქვას, რომ სასამართლოს ორგანოებში მუშაობენ უმაღლეს სასწავლებელ დაუმთავრებელი მუშაკებიცო, მაგრამ ეს აზრი მთლიან გამართლებას ვერ პოულობს, რადგან იუსტიციის ორგანოებში წინასწარ გამოძიებული და განხილული საქმეების უვარგისიანობის პროცენტი დაახლოვებით 30 პროცენტს აღწევს და ამიტომ ასეთი საქმეები უბრუნდება უკანვე საგამომძიებლო და სასამართლოს ორგანოებს დამატებითი გამოძიების მოსახდენად და სასამართლოს სხვა შემადგენლობაში ხელმეორედ განსახილველად. რა თქმა უნდა, რომ ეს ისე არავინ უნდა გაიგოს, რომ თითქოს უნივერსიტეტის საბჭოთა სამართლის დარგდამთავრებული მუშაკების სათანადო სამუშაოებზე დაშვების შემდეგ აღარ ექნება ადგილი საქმეების ცუდათ გამოძიება-განხილვას. ცხადია, ნაკლულოვანებები იქნება, მაგრამ გაცილებით ნაკლები პროცენტი, ვიდრე იყო და არის. გარდა ამისა, არის მთელი რიგი წარმოება-დაწესებულებებისა (ა.-კ. რკ. გზ. გამგეობა, აღმასკომი და სხვ.), სადაც ათობით ყავთ ძველი, დახავსებული იურისტ კონსულტები, რომელთა წარსული და ახალი „მოღვაწეობანი“, საკმაოდ გამოაშკარავა დამცველთა კოლეგიის წმენდამ და რომელნიც რა თქმა უნდა გაიდევნებიან ჩვენი დაწესებულებებიდან და მათ ადგილზე მიღებულ უნდა იქნენ საბჭოთა ნამდვილი იურისტები, რომლებიც გამოსული არიან პროლეტარულ, მუშათა და გლეხურ წრიდან.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული და სხვა მრავალი მოსაზრებებით, უნივერსიტეტში საბჭოთა სამართლის დარგის არსებობა ჯერ-ჯერობით მაინც აუცილებელი საჭიროა. უნდა მიეცეს გასაქანი ამ დარგის სტუდენტებსაც, როგორც კონტრაქტაციაზე გაგზავნით, ისე სამუშაოებზე დაშვებით და სხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სჯობს ხარჯები მაინც არ გავწიოთ და დავხუროთ ეს დარგი.

ს. თაბაგარი.

კულტმუშაობა სტუდენტთა შორის

მთავარ საქმიანობათა შორის სტუდენტობის ცხოვრებაში—ეს არის კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებრივი მუშაობის წარმოება. დღეს, როდესაც სტუდენტთა ორგანიზაციები გადავიდენ მუშაობის ახალ ფორმებზე და მეთოდებზე, როდესაც აქამდე ნაწილობრივ არსებულ ადმინისტრატიულ უფლებებისაგან განიტვირთენ, გადაეცა გამგეობას და სხვა ორგანიზაციებს, მაშინ მთელი სიცხადით დგება საკითხი ჩვენს წინაშე, სტუდენტთა მასიურად საზოგადოებრივ-კულტურულ მუშაობის გაღვივების, გაღრმავების და მასებში ფართოდ გადატანისა. სოციალისტურ მშენებლობაში, თესვის ფართო კამპანიაში, კოლმეურნეობის მშენებლობისათვის ჩვენი სტუდენტობა აქტიურ მონაწილეობას იღებს, რისთვისაც საჭიროა გამართლება იმ იმედების, რომელსაც ჩვენზე ამყარებს მშრომელთა ხელისუფლება. მომზადება სათანადო კულტურულ ძალების, აღჭურვა ყოველგვარი ცოდნით, საზოგადოებრივ მუშაობაში უშუალოდ მონაწილეობის მიღება. თანახმად ხუთწლიანი გეგმისა, არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი მთელს საკავშირო რესპუბლიკაში, სწორედ აქ არის საჭირო სტუდენტობამ თავის ღვაწლი შეიტანოს სოც. მშენებლობის წინსვლისათვის, განსაკუთრებით პედაგოგები და მეორე ეკონომისტები მხურვალე მონაწილეობას უნდა ღებულობდენ ამ მცირეოდენ, მაგრამ მნიშვნელოვან საზოგადოებრივ დატვირთვაში და ხელმძღვანელობდენ წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო წრეებს, ამით სტუდენტობა გაამართლებს იმ იმედებს, რომელზედაც ემყარებიან მუშები და გლეხები. ეწყობა სტუდენტთა დამკვრელი ბრიგადები როგორც სოფლად კოლმეურნეობის თესვის კამპანიის ჩასატარებლად, ისე ქალაქად. ეს ბრიგადა შემდგარია სხვადასხვა ფაკულტეტებიდან დარგის და სპეციალობის მიხედვით. სტუდენტობა დიდ ინტერესს იჩენს და ხალისით მიდის ამ ბრიგადებში, საჭიროა მეტი რიცხვი გავგზავნოთ იქ, ჩამოვაყალიბოთ ცალკე ფაკულტეტებზე, რითაც საშუალება გვექნება უფრო აქტიური და ნაყოფიერი მუშაობის. სტუდენტობა გადავიდა ახალ ფორმებზე და მეთოდებზე მუშაობისა. მაგრამ რა კეთდება ამ მხრივ.

მთელი ყურადღება უნდა ექცეოდეს სამეცნიერო წრეების ნაყოფიერ და სერიოზულ მუშაობას კადრების წამოწევის მიზნით. საჭიროა გამოცოცხლება საკლუბო წრეების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების. სახელმწიფო უნივერსიტეტი აერთიანებს 6 ათასამდე სტუდენტს იმ დროს, როცა ისეთი ორგანიზაცია, როგორიც არის „რევოლიუციონურ მებრძოლთა დამხმარე საზოგადოების უჯრედი“ აერთიანებს 1000 წევრს სტუდენტს. ეს გარემოება არის, ცოტა არ იყოს, სასირცხოც კი, რადგან თითოეული კაპეიკი სტუდენტთათვის უმნიშვნელო დიდ წვრილმანს წარმოადგენს შორეულ დასავლეთ ქვეყნების რევოლიუციისათვის ტანჯულ ხალხისათვის. აქ ყველაზედ უფრო მეტი აქტივობა არის საჭირო სტუდენტობის მხრივ, გააღრმავონ ამ მხრივ მუშაობა, რადგან ჩვენს ხელისუფლებას სჭირდება არა მარტო ვიწრო სპეციალისტები, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების მოღვაწენი, წინამძღოლნი, როგორც კულტურულად მომზადებული ძალები ყოველგვარი საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრებისა. რემედასის უჯრედის ნაყოფიერი მუშაობისათვის სტუდენტთა გამოყენების და აქტივობის მიზნით საჭიროა „რემედასის“ უჯრედი დაიყოს ცალკე ფაკულტეტების მიხედვით, რითაც საშუალება ექნება ინტენსიურ მუშაობის და სტუდენტობის ფართოდ ჩაბმის საზოგადოებრივ მუშაობაში. ამ მხრივ საჭიროა პროფკომებმა მიაქციონ ყურადღება და ხელი შეუწყონ ამ წრეების ინტენსიურ მუშაობას. დიდი ხნის არსებობის ისტორია არა აქვს უნივერსიტეტის გარეშე მომუშავეთა ბიუროს, მაგრამ ამ მხრივ მაინც მეტის გაკეთება შეიძლება. აქაც თვით სტუდენტობის აქტივობის გამოჩენაა საჭირო. მეტი სურვილი და გაცხოველებულ მუშაობის წარმოება მუშებს შორის წარმოებებში, რითაც სტუდენტს ფართო გასაქანი ეძლევა თავის თეორიულ ცოდნის, თეორიულ ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებისთვის ერთი მხრივ, მუშებისთვის კი კულტურული საზრდო და საზოგადოებრივი მუშაობის წინ წაწევაა. ამ მხრივ რამოდენიმე შედეგები მაინც გვაქვს, მაგრამ მრავალ მასიან სტუდენტთა შორის ეს არ არის საკმარისი. წითელ ყაზარმებში ჩვენი სტუდენტები დაუღალავად მუშაობენ და კიდევ მეტი მუშაობაა საჭირო. ასეთი მდგომარეობა გვაქვს საკლუბო წრეებში. საუკეთესო ძალები გვყავს სტუდენტთა შორის ხელოვნების ყოველ დარგში, მაგრამ ეს დღემდის ვერ იქნა გამოყენებული, რომლის გამოყენება დღევანდელ დროში აუცილებლობას წარმოადგენს, იმ დროს, როდესაც კლუბთან უნდა შევქმნათ „თვითშემოქმედების წრე“ და მრავალი სხვა, რომელნიც უნივერსიტეტის კულტმუშაობას შეეხება. საჭიროა ყველა ჩვენი წრეების და თავისუფალ ორგანიზაციების მუშაობა შედიოდეს სოც. შეჯიბრში, როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან. საჭიროა მუშაობის გადატანა მუშურ რაიონებში და იქ გამომზეურება მუშათა მასებში, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არის არა მარტო თავისთვის, არამედ მუშურ-გლეხურ მასების დაინტერესებისთვის, მათი კულტურულ-საზოგადოებრივ წინ წაწევის და საზოგადოებრივ მუშაობის გაცხოველებისთვის. ერთი მთავარი ამოცანათაგანი, რომელიც ჩვენს სინამდვილეში არის დასმული, ეს ის გარემოებაა, რომ დღეს სახელმწიფო ატარებს ფართე კამპანიას ნედლეულის მოგროვების საკითხში. სხვა უმაღლესი სასწავლებლები ამ კამპანიას ატარებენ, ჩვენი სტუდენტობაც არ ჩამორჩება ამ საქმეში, რისთვისაც საჭიროა მოვაწყოთ კვირეული ან დღიური, შევქმნათ ჯგუფები სტუდენტობის და ჩვენც მივიღოთ მასიური მონაწილეობა სახელმწიფო კეთილდღეობის მზრუნველობაში, რისთვისაც ახლო ხანში ჩამოყალიბდება ეს ჯგუფები. სწორედ აქ გამოჩნდება ვინ არის დაინტერესებული ხელისუფლების კეთილდღეობისათვის და მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას ამ კამპანიის ჩატარებაში. ამხ. დავანებოთ თავი დროის უსაქმოთ დაკარგვას და გამოვიყენოთ დრო რაციონალურად, ჩავებათ საზოგადოებრივ ცხოვრების ქარტეხილში და ჩვენც მივიღოთ მონაწილეობა სტუდენტთა ყოფა-ცხოვრების და საზოგადოებრივ ცხოვრების წინსვლაში სტუდენტთა ორგანიზაციების ნორმალურ მუშაობისათვის.

თამარ გიკაშვილი.

სოციალისტურ
აღმშენებლობაზე

(საუბარი პროლეტარულ სტუდენტთან)

ძღვნად სახელმწიფო უნივერსიტეტს

...და ორი აზრი დღეს ჩვენ არა გვაქვს:
(მე პროლეტმწერალს, შენ—პროლეტსტუდენტს)
ჩვენ მტკიცეთ ვიცავთ გენერალურ ხაზს—
ვაშენებთ ახალს ქალაქს და სოფელს.
აღმშენებლობა ისე დიდია
და ისე მძაფრი მტერზე შეტევა,
რომ ერთ წლის საქმეს ერთ დღეს ვაკეთებთ
და ჩვენს ცეცხლის რაშს რა დაეწევა.
მხოლოდ ჩვენი გზა ბარ-ეკლიანი
თავგანწირულთა ბრძოლის გზა არის,—
წინ გვიდევს მთები უღრან ტყიანი.
და ტალღებს გვიშენს ზღვა ბობოქარი.
მო და ამ გზაში ჩვენ, ამხანაგო,
გვინდა აღჭურვა ცოდნით ყველაფრის,
„მზარეულ ქალმაც უნდა განაგოს
ეს სახელმწიფო მშრომელი ხალხის“.
აი შენ ამბობ: აღმშენებლობის
ტემპი ძლიერი არის და ჩქარი,—
კადრები არ გვყავს ყველა დარგებს,
რომ ვზიდოთ ის, რაც ბრძოლით დავძარით.
ჩვენ ამ საკითხში სადავო არ გვაქვს:
მოველით თქვენგან ჩვენ ახალ კადრებს,
ძველი ცხოვრების ვეწევით აღგვას,
ახლის შენება კი ცეცხლათ გვანთებს.

სანდრო ეული

სოციალისტურ შეჯიბრების ფრონტზე

სოციალისტური შეჯიბრი—კულტურობის შეჯიბრი

ჩვენი უნივერსიტეტი სოციალისტურ შეჯიბრში უკვე ჩაება. იგი მთლიანად როგორც ასეთი, შეჯიბრშია საქართველოს და ამიერ-კავკ. სხვა უმაღლეს სკოლებთან, მისი სხვადასხვა ფაკულტეტები კი შეჯიბრშია ერთი მეორესთან და სხვა უმაღლეს სკოლებთან და ფაკულტეტებთან, კერძოთ სამკურნალო ფაკულტეტზე შეჯიბრი გაღრავდა და გაფართოვდა კიდევ მით, რომ შეჯიბრებული არის ერთმანეთთან ცალ-ცალკე კურსები, კათედრები, კლინიკები, ლაბორატორიები, სტუდენტთა ჯგუფები და ინდივიდუალურად მასწავლებლები და სტუდენტები.

რას აკისრებს და ავალებს ეს შეჯიბრი სტუდენტებს მასწავლებლებს და ტეხნიკურ მუშაკებს?

მხოლოდ ზერელედ დამკვირვებელმა შეიძლება ეძიოს ამის პასუხი. მარტო სოციალისტურ შეჯიბრების საყურადღებოა ყველა ის, რასაც ხელშეკრულება ავალებს სტუდენტებს, მასწავლებლებს და ტეხნიკურ მომუშავეებს, პირდაპირ აუცილებელია ის, რაც, თუმცა ხელშეკრულების მუხლებში არ არის, მაგრამ რაც სოციალისტური შეჯიბრების დედაძარღვს წარმოადგენს და რაც შეჯიბრის ხელშეკრულების მუხლებსა და სტრიქონებს შუა ამ მუხლებზე და სტრიქონებზე უფრო ხმა-მაღლა ღაღადებს.

პირველად ყოვლისა თითოეულმა ჩვენგანმა დაბეჯითებით უნდა იცოდეს, რომ სოციალისტური შეჯიბრი მთელი თავისი მოცულობით, თითოეული თავის დეტალით არის შეჯიბრი კულტურობაში ამ სიტყვის უფართოესი მნიშვნელობით. სოციალისტური შეჯიბრი—შეჯიბრია მოცემული დროს და პირობების უფრო რაციონალურად და მაქსიმალურად სარგებლიანად გამოყენებაში, მუშაობის უკეთეს უნარიანობაში, ნებისყოფის დისციპლინობაში, საზოგადოებრივი ენტუზიაზმის სიძლიერეში, კოლლექტიური შეგნების და ინდივიდუალურ პასუხისმგებლობის სიმტკიცეში. ერთი სიტყვით ეს შეჯიბრი დაპირდაპირება არის ყველა ისეთი თვისებების, რაც მხოლოდ და მხოლოდ კულტურობიდან აღმოცენდება და კულტურობის უშუალო თვისების, რაც მხოლოდ და მხოლოდ კულტურობიდან აღმოცენდება და კულტურობის უშუალო ნაყოფია.

თუ ეს ასე არის, თუ მართლაც სოციალისტური შეჯიბრი არსებითად კულტურობის შეჯიბრია, მართებს თუ არა ჩვენს უმაღლეს სკოლას ამ შეჯიბრების განსაკუთრებულად წარმატებით ჩატარება? აქ ორი აზრი არ შეიძლება იყოს. უმაღლესი სკოლა კულტურობაში ავანგარდი უნდა იყოს, ის კულტურობის საუკეთესო მაგალითის მაჩვენებელი უნდა იყოს, ის კულტურის სხივებს სხვებს უნდა ჰფენდეს.

აქედან ცხადია, თუ როგორ გაუდიდა პასუხისმგებლობა სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმამ ჩვენს სტუდენტებს და მასწავლებლებს. უდავოა, რომ ამ შეჯიბრმა მათ დააკისრა თავისი დიდი მოვალეობის სრული შეგნების დამტკიცება საქმით.

ამრიგად სოციალისტური შეჯიბრი ზედმიწევნით დიდ მოთხოვნას აყენებს ჩვენი კოლექტივის წინაშე, თითოეულ ჩვენგანის წინაშე, და, რასაკვირველია, არა მარტო იმას, რაც ხელშეკრულებით არის გავალისწინებული. ხელშეკრულებაში მარტო, ასე ვსთქვათ, ჩონჩხია, რომელსაც აუცილებლად სჭირდება რბილის შესხმა, შეჯიბრის დედა აზრის ჩაბერვა და გაცოცხლება. ეს კი უკვე თითოეული ჩვენგანის მოქალაქეობრივი შეგნების კოლექტიური და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გრძნობისა და ერთი სიტყვით კულტურობის საქმეა.

უამისოდ ხელშეკრულების თუ გინდ ყველა მუხლის 100 პროცენტით შესრულება არ იქნება კიდევ შეჯიბრის წარმატებით ჩატარება.

სოციალისტური შეჯიბრის რომელი ნაწილიც არ უნდა აიღოთ, მისი წარმატებით ჩატარება სრულიად, გარკვეულ, ღრმად გაგებულ და უაღრესად შეგნებულ მოპყრობას მოითხოვს თითოეულ ჩვენგანიდან. ავიღოთ, მაგ. სწავლისა და შრომის დისციპლინის საკითხები. ვსთქვათ სტუდენტი ყველა ლექციებს ესწრება და ლექციაზე არის ყოველთვის დასაწყისიდან ბოლომდე. ხელშეკრულების მიხედვით ფორმალურად, მან 100 პროცენტით შეასრულა ამ ხელშეკრულების გარკვეული მუხლი. არსებითად, შეჯიბრის ამ მუხლის შესრულება, რასაკვირველია არა მარტო ასეთ დასწრებას გულისხმობს. მან მართლაც უნდა მოისმინოს და შეითვისოს ლექციის შინაარსი თავიდან ბოლომდე, ერთი წამითაც მისი ყურადღება არ უნდა ასცილდეს ლექციას. მან ამ ლექციის სმენის დროსვე უნდა დაუკავშიროს ლექციის შინაარსი წინად მოსმენილს, გამონახოს ამ წინად მოსმენილთან და საერთოდ თავის ცოდნასთან დაკავშირებული ძაფები. ამისათვის საჭიროა, რასაკვირველია, ყველაფერი წინად მოსმენილის ცოდნა. სტუდენტი ერთი ნაბიჯითაც არ უნდა ჩამორჩეს მასწავლებელს, რაც უკანასკნელმა ლექციებზე უკვე განმარტა ის სტუდენტს შეთვისებული უნდა ჰქონდეს. ის თანდათანობით უნდა ითვისებდეს საგანს მთელი წლის განმავლობაში. ლექციის გარეშე შესაფერისი ლიტერატურის საშუალებით ის უნდა შეეცადოს გაარღმავოს და გააფართოვოს ლექციებზე შეძენილი ცოდნა ან და პრაქტიკულ მუშაობაზე სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საათების რაოდენობით დასწრება ნიშნავს განა ხელშეკრულების გარკვეული მუხლის არსებითად შესრულებას? რასაკვირველია, არა! პრაქტიკული მუშაობის დროს სტუდენტი ითვისებს პრაქტიკულად ამა თუ იმ მეთოდს, ამუშავებს, გარკვეულ მასალას, ეძებს და მოუსმენია ან წაუკითხავს. ცხადია, რომ ასეთი მუშაობის დროს უდიდესი გასაქანი და სარბიელი აქვს სტუდენტის დაკვირვებითი უნარს, კრიტიკის და შეფასების ნიჭს, თვითმოქმედებას, ინიციატივას, ტეხნიკურად დახელოვნებას და სხვა. თუ ყველა ეს სტუდენტმა არ გამოიჩინა—ის მარტო ფორმალურად ასრულებს პრაქტიკულ მუშაობას და შეჯიბრის ერთ-ერთ მუხლსაც.

თავისთავად ცხადია, რომ ჩათვლების და გამოცდების მარტო ჩაბარებაც, მათი „თავიდან მოშორება“ თუ გინდ თავის დროულიც არ არის ყველა ის, რასაც სოციალისტური შეჯიბრება არსებითად ამ ჩათვლებიდან და გამოცდებიდან მოითხოვს. ჩათვლაზე და გამოცდებზე მოსვლას წინ უნდა უძღოდეს მაქსიმალური მომზადება თეორიული და პრაქტიკული სრული პასუხისმგებლობის გრძნობით არა მარტო გამომცდელის წინაშე, არამედ საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

მაგრამ ესეც არ არის საკმარისი სტუდენტისათვის. მას სოციალისტური შეჯიბრი ავალებს თეორიული და პრაქტიკული ცოდნით არა მარტო მაქსიმალურად აღჭურვას, არამედ თეორიის და პრაქტიკის ერთი მეორესთან ისეთ ნაირად გადაჯაჭვას, მათ ისეთ ნაირად ჰორმონიულად შეთვისებას, რომ მომავალში ის არ გამოვიდეს ცალმხრივი სპეციალისტი: მომზადებული თეორიულად, მაგრამ ცუდი პრაქტიკული მუშაკი ან და უბრალო, თეორიული საფუძვლების უცოდინარი ხელოსანი.

თუ სოციალსიტური შეჯიბრი ასეთ დიდ მოთხოვნილებას უყენებს სტუდენტებს, ის კიდევ უფრო მეტს მასწავლებლებიდან, მოითხოვს. თუ მასწავლებელმა ყველა ლექცია წაიკითხა დანიშნულ დროს ეს კიდევ არ ნიშნავს შეჯიბრის წინაშე თავის ლექციას მასწავლებელი წინასწარ ისე უნდა ამუშავებდეს, რომ ამ ლექციის შინაარსის სხვადასხვა მომენტები მოხერხებულად დაუკავშიროს ერთი მეორეს, გადასცეს სხარტად, ლექციების კითხვისას, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც, აგრეთვე პრაქტიკული მუშაობის დროს, მასწავლებელი უნდა ცდილობდეს მაქსიმალურად დააინტერესოს სტუდენტი, გააღვიძოს და გაადიდოს მასში ცნობისმოყვარეობა, თვითმოქმედება, სიყვარული მეცნიერებისადმი და პატივისცემა შრომისადმი.

მასწავლებელი არა მარტო აკადემიურ საქმეში უნდა იყოს სტუდენტისათვის გზის მაჩვენებელი, ის საზოგადოებრივ მუშაობაში სტუდენტის მიბაძვის ღირსი უნდა იყოს. მასწავლებლის საზოგადოებრივი მუშაობა არ განისაზღვრება, რასაკვირველია, მარტო საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობით. საზოგადოებრივი ალღო და უნარი მასწავლებელმა უნდა გამოიჩინოს, ყოველი ლექციის კითხვისას, რასაც არ უნდა ეხებოდეს ეს ლექცია, ყოველ სემინარულ და პრაქტიკულ მუშაობის რესად იმაშია, რომ ჩვენ ერთხელ დროს, ერთი სიტყვით მისი მუშაობის ყოველ ნაბიჯზე.

შეჯიბრის მნიშვნელობა უმთავრესად იმაშია, რომ ჩვენ ერთხელ და სამუდამოთ შევითვისოთ, პირდაპირ შევითვითხორცოთ, წესიერი მუშაობის უნარი დისციპლინიანობა როგორც შრომაში, ისე საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეებში.

ამიტომ შეჯიბრებულებს უნდა ასულდგმულებდეს არა მარტო შეჯიბრების მოგების, გამარჯვების სურვილი, არამედ შეჯიბრების პროცესში შეჯიბრის თვით აღმზრდელობითი გავლენა და ამ მოვლენით ჩვენი კულტურობის აწევა და მისი განმტკიცება.

სოციალისტური შეჯიბრი — ჭეშმარიტად შეჯიბრია კულტურობაში.

სოციალისტური შეჯიბრი — ჭეშმარიტად ჩვენი კულტურობის გამოცდაა.

პროფ. ვლ. ჟღენტი.

სოციალისტური შეჯიბრება სახელმწიფო უნივერსიტეტში

მძიმე ინდუსტრიის მკვიდრად მტკიცდება ჩვენს სახალხო მეურნეობაში, სოფლის მეურნეობა სწრაფად გადადის სოციალისტურ რელსებზე, ბრუნვაში საბრძანებლო სიმაღლეებს იკავებს სოციალისტური სექტორი. კულტურულ ფრონტზე საჭიროა დიდი გარდატეხა. ჩვენმა უნივერსიტეტმა უნდა იაროს ახალ გზებზე. თითეულ უნივერსიტეტის მუშაკმა და სტუდენტმა უნდა გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს, ახალი მუშაობის მეთოდი არის სოციალისტური შეჯიბრება. სოციალისტური შეჯიბრება უკვე დაწყებულია უნივერსიტეტში. ჩვენ, უნივერსიტეტის გარეშე მონაწილეობას ვიღებთ ა.-კ. ყველა უმაღლეს სასწავლებელთა შეჯიბრებაში და გარდა ამისა ცალკე შეჯიბრების ხელშეკრულება დადებული გვაქვს ერევანის უნივერსიტეტთან, შიგ უნივერსიტეტში ეჯიბრებიან ერთიერთმანეთს, ცალ - ცალკე ფაკულტეტები და სამკურნალო ფაკ-ზე კურსები, არის რამოდენიმე ინდივიდუალური გამოწვევა მეცნიერულ მუშაკთა და სტუდენტთა შორის, უკვე შედგენილია სოც. შეჯიბრების მსვლელობის ერთგვარი აღრიცხვის კრიტერიუმები. ჩატარებული იყო რამოდენიმე კრება ამ საკითხის გარშემო. მასა საკმარისად გაცნობილია სოც. შეჯიბრების დაწყებაზე, მაგრამ სამეცნიერო მუშაკთა და სტუდენტთა მასები ჯერ საკმაოდ არ არიან ჩაბმული ამ მუშაობაში. სოც. შეჯიბრებამ ჯერ ვერ მოიყვანა მოძრაობაში უნივერსიტეტის მთელი მასა. შეჯიბრების პრინციპი ჯერ სრულიად არ გამხდარა ჩვენი უნივერსიტეტის ძირითად მამოძრავებელ ძალად, სოც. მშენებლობის დღევანდელი განვითარების ეტაპი მოითხოვს ჩვენი უნივერსიტეტისაგან ახალ, დღემდე უნახველ ტემპებს, ახალ მეთოდებს და გზებს, დიდ დისციპლინას და ენერგიას, ყველა ეს ჩვენ უნდა მოგვცეს სოც. შეჯიბრებამ, მაგრამ დღემდე ჩვენ ამას სინამდვილეში ვერ ვხედავთ; შედარებით სხვა ფაკულტეტებთან უკეთესი მდგომარეობაა სამკურნალო ფაკულტეტზე, იქ საკამო მუშაობა ჩაატარა ფაკულტეტის კომისიამ. მოაწყო კიდეც კურსების შეჯიბრებები და მასიური ჩაბმის კონტურები მოიპოვება. სოც. ეკონომიურ და პედაგოგიურ ფაკულტეტზე მდგომარეობა გაცილებით ცუდია, ხელმძღვანელ კომისიის წევრები როგორც სამეცნიერო მუშაკებმა, ისე სტუდენტებმა დიდი დაუდევრობა გამოიჩინეს, ხელშეკრულების დადების შემდეგ, დაავიწყდათ თავისი მოვალეობანი, ვერ ჩაატარეს კურსებს შეჯიბრება, ვერ დააყენეს სათანადო დონეზე; შეჯიბრების საკითხები პოპულარიზაცია, კომისიის წევრები ზევიდან მოგონების შემდეგ ორ-ორი კვირა ერთი - ერთმანეთს ეძებენ. ასეთი მდგომარეობის გაგრძელება შეუძლებელია: სოც. შეჯიბრების მსვლელობაში უახლოეს, დროში გარდატეხა უნდა მოხდეს, უნ-ტის პედ. პერსონალი და სტუდენტობა 100 პროც.-ით აქტიურად უნდა ჩაბმულიყო სოც. შეჯიბრებაში, უნდა მოეწყოთ კურსების შეჯიბრება ყველა ფაკულტეტებზე, უნდა ჩაბმულ იყვეს ინდივიდუალურ შეჯიბრებაში თითეული მასწავლებელი და სტუდენტი, სტუდენტებმა უნდა მოაწყონ დამკვრელი ბრიგადები, რიცხვის 5—8 კაცი, და გამოიწვიონ ასეთივე ბრიგადები, კურსიდან — კურსზე გადასვლაში, მაქსიმუმის დროზე ჩაბარებაში, სუსტი ამხანაგების დახმარებაში და სხვ. დარგებმა და კათედრებმა უნდა გამოაცხადონ თავიანთი კათედრები დამკვრელად და გამოიძახონ შეჯიბრებაში სხვა კათედრებიც სხვადასხვა საკითხებში; დროის უქონლობით გამართლება, უნ-ტის უსახსრობით რაიმეს ახსნა გამართლება არ არის. სოც. შეჯიბრების პრინციპი უნდა გახდეს ფუძედ, ხორცსისხლად მთელი მუშაობისა, უამისოდ ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ ვართ აქტიური მონაწილენი ახალ ცხოვრების აშენებისა.

მაშ სოც. შეჯიბრების მეთოდით, ახალი გზებით სოციალისტურ სამყაროსაკენ.

ი. მრევლიშვილი.

სოციალისტური შეჯიბრება პედაგოგიურ ფაკულტეტზე

სოციალისტური შეჯიბრების საკითხი პედ. ფაკულტეტზე ვერ მიდის ისე, როგორც საჭირო და მოსალოდნელი იყო. ჯერ ერთი შეჯიბრებაში გამომწვევი დღემდის ვერ ჩამოყალიბდა მიუხედავათ ხელშეკრულების დადებისა. მეორე, სტუდენტობაში არ სწარმოებს დამსწრეთა და მომუშავეთა აღრიცხვა, რაც საფუძველია შეჯიბრებისა და არ სწარმოებს არც მასწავლებლების მუშაობის კონტროლი და აღრიცხვა. ამაში ბრალი მიუძღვის ფაკულტეტის კომისიას, ნაწილობრივ ცენტრალურ კომისიასაც, მაგრამ მთავარი მიზეზი იმაშია, რომ წელს მედ. ფაკულტეტის სტუდენტობისათვის საშინელი არანორმალური წელიწადია. სანიმუშოთ, რომ ავიღოთ ისტორიის დარგის სტუდენტობა, მათ შორის დიდი უმრავლესობა 15 დეკემბრამდის გამოურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ მხრივ, რომ არ იცოდა რომელ კურსზე ირიცხებოდა თითოეული სტუდენტი, ეს იმიტომ, რომ მათ გამოცდები დამთავრებული არ ქონდათ და ფაკულტეტის მიერ ჩაბარების ვადა 15 დეკემბრამდის იქნა გადადებული, ამიტომ სტუდენტობის დიდი ნაწილი ლექციებზე და სემინარებზე სიარულის მაგივრად გამომცდელებს დაზდევდენ სალექციო საათების შუა და კითხულობდენ როდის მიიღებდენ მათ გამოცდისათვის. ამ პირობებში სტუდენტობამ არ იცოდა რომელ კურსზე ეწარმოებია მას მუშაობა. ამას უნდა დაუმატოთ, რომ სტუდენტთა მასას არც კი ცოდნია შეჯიბრების პირობები. საბოლოო ანგარიშში სტუდენტობის აფსენტეიზმი წელს მეტი იყო, ვიდრე შარშან. დადებითი შედეგი შეჯიბრებისა შეეტყო ცალ-ცალკე სტუდენტებს და მასწავლებლების პირად მუშაობას. ჩემი დაკვირვებით, მასწავლებლების მიერ ლექციების გამოტოვება შარშანდელთან შედარებით ბევრად ნაკლებია. მასწავლებლების პირად შეჯიბრების ნიადაგზე სწარმოებს ცხარე მუშაობა და ვფიქრობ, შეჯიბრების ამოცანა ვადაზე იქნება უმეტეს შემთხვევაში შესრულებული.

საქმის გამოსასწორებლად და არსებული ნაკლის თავიდან აცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ მოახდინონ კომისიების მობილიზაცია, შეჯიბრებულთა სტუდენტობის მასას გააცნონ შეჯიბრების პირობები, ახლავე კონტროლი და აღრიცხვა შეჯიბრების პირობების შესრულებისა.

პრ. გ. ნათაძე.

სოციალისტური შეჯიბრება პედაგოგიურ ფაკულტეტზე

უნივერსიტეტის პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებმა რამოდენიმეჯერ ჩაატარეს კომპანიები სოც. შეჯიბრის შესახებ, მაგრამ მდგომარეობა მაინც უნუგეშოა, განსაკუთრებით ეს ითქმის პედაგოგიურ ფაკ-ზე. სოც. შეჯიბრებაში არაა ჩაბმული სტუდენტთა პროფ. ორგანიზაციები, არ მომხდარა კურსის მიერ კურსის გამოწვევა, თუ ეს მოხდა მეტად კუსტარულ ხასიათით, რაც სოც. შეჯიბრების მიზნებს და ამოცანებს დამახინჯებულ სახეს აძლევს. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი პროფესორები აცხადებენ: „მე ისეთი პირობები გამოვიწვიე, რომელიც როგორც მე, დაპირებას ვერ შეასრულებს“-ო. ამ მოვლენას გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ აქედანვე. პედაგოგიურ პერსონალთა შორის ბევრმა სერიოზულად შეხვდა სოც. შეჯიბრის საქმეს, როგორიცაა, პროფ. გ. ნათაძე, მ. გოგიბერიძე, ს. ყაუხჩიშვილი, დ. უზნაძე, საჭიროა სხვებმაც მიბაძონ მათ. სტუდენტთა ორგანიზაციებმა, კურსკომებმა, სამეცნიერო წრეების გამგეობებმა საჭიროა მეტი სერიოზულობით მოკიდონ ხელი სოც. შეჯიბრის საქმეს. უნდა მოხდეს გამოწვევა კურსისა, კურსის მიერ. აკადემიური წრეების, სემინარიის ჯგუფების და აგრეთვე ინდივიდუალურადაც. კურსის რწმუნებულებმა დაუყოვნებლივ უნდა შეუდგენ ანკეტების მიხედვით ლექციებზე დამსწრეთა და დაგვიანებულთა აღრიცხვას. საჭიროა ამ მხრივ მუშაობის ყოველი ნაბიჯი სოც. შეჯიბრისა შუქდებოდეს ადგილობრივ და ცენტრალურ პრესებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საჭიროა აგრეთვე სოც. შეჯიბრების შემადგენლობის კომისიის გაჯანსაღება და ზოგიერთ „დეზერტირებიდან“ მისი განთავისუფლება.

ს. ჟალიჩავა.

სოციალისტური შეჯიბრება და სამკ. ფაკულტეტი

სამკურნალო ფაკულტეტს, ისე როგორც საერთოდ უმაღლესი სკოლის ყველა ფაკულტეტებს, ორი უმთავრესი ამოცანა აქვს დასახული: 1) საქართველოს მშრომელი ხალხისათვის კარგი სპეციალისტების მომზადება და 2) სამკურნალო დარგში მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება. ერთიცა და მეორეც აუცილებელ პირობას წარმოადგენს ფაკულტეტის ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის. მეცნიერული კვლევა-ძიების წარმოება, მასწავლებელთა მოვალეობას შეადგენს. კარგი სპეციალისტების მომზადება კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ როგორც მასწავლებლები, ისე სტუდენტებიც მოწადინებულნი იქნებიან მთელი თავიანთი ენერგია ამ დიდ საქმეს მოახმარონ.

სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ისე ფართოდ მოედო მთელი კავშირის წარმოება-დაწესებულებებს და რომელმაც მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა ჩვენი უნივერსიტეტშიაც, მიმართულია შრომის ნაყოფიერების მომატებისაკენ. მართალია სამკურნალო ფაკულტეტი საკმარისად მომზადებულ ახალგაზრდა ექიმებს აძლევდა ჩვენს ხალხს და ამ მხრივ იგი არ ჩამოუვარდებოდა სხვა უნივერსიტეტს, მაგრამ ჩვენი სურვილია ამ მხრივ კიდევ მეტი იქნეს გაკეთებული, როგორც კვალიფიკაციის ისე რიცხვით, ჩვენ იმედები გვაქვს, რომ როგორც მასწავლებლები ისე სტუდენტები, გაათკეცებით იმუშავებენ ამ მიზნისთვის და ჩვენ მალე ვნახავთ ამ მუშაობის ნაყოფიერ შედეგებს.

ფაკულტეტის მეორე მიზანი მეცნიერული კვლევა ძიების წარმოება. ფაკულტეტის არსებობის მოკლე ხანში არც მცირე რამ, იქნა გაკეთებული ამ მხრივ, მარტო სამკურნალო ფაკულტეტზე 12 დისერტაცია იქნა დაცული, მაგრამ ჩვენი აზრით, ყველა ის, რაც გაკეთებულია მაინც ცოტაა. უნივერსიტეტი ორგანიზაციის პერიოდიდან უკვე გადავიდა, ახლა მეცნიერულ კვლევა ძიებაზე, სადაც მეტი შესაძლებლობა არსებობს და სოც. შეჯიბრებამ ახალი ძალები უნდა მისცეს ჩვენს მასწავლებლებს, ამ მხრივ მეტის გაკეთებისა და მეტი მიღწევებისათვის.

მე უსურვებდი კიდევ ერთს! მართალია მეცნიერულ კვლევა ძიების წარმოება თითქოს მხოლოდ მასწავლებლების მოვალეობას წარმოადგენს, მაგრამ საჭიროა ამ კვლევა-ძიებაში ჩვენი ახალგაზრდობის უფროსი კურსის სტუდენტობის ჩაბმაც, მათში მეცნიერული გამოკვლევების სიყვარულის ჩანერგვა, მათი ამ მხრივ წახალისება და დაინტერესება ეს იქნება ჩვენის მხრივ დიდი საქმე და ამას უნდა მივაქციოთ ჩვენ უაღრესი ყურადღება.

მასწავლებლების და სტუდენტების შეერთებული ძალებით უნდა გავსწიოთ წინ ჩვენი მშრომელი ხალხის საქთილდღეოდ.

პროფ. შ. მიქელაძე.

წინ შეერთებული ძალებით

საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ხუთწლიანი გეგმის შესრულება დიდ მუშაობას და ენერგიას მოითხოვს. ამ მუშაობაში უნდა ჩაებას კავშირის მშრომელთა მთელი მასა. პატარადან დაწყებული დიდამდე, ვინაიდან ამ გეგმის სათანადო შესრულება ჩვენს ხალხს დიდ ბედნიერებას უქადის. ყველამ უნდა ვიშრომოთ ენერგიულად, იმ შეგნებით, რომ სოციალისტურ მშენებლობის საქმე კეთდება. სამწუხაროდ ადამიანს დაბადებიდანვე თან დაყოლილი აქვს სიზანტე მას კი ხშირად ესაჭიროება წაქეზება წახალისება და გამხნევება, სწორედ ასეთი საშუალებაა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ახლა მთელ საბჭოთა კავშირში ტარდება და მშრომელთა შორის დიდ აღფრთოვანებას იწვევს. ამ საშუალებამ განუსაზღვრელი ენერგია მიანიჭა შრომის დისციპლინის, კეთილსინდისიერად დაცვისგან და წარმოების მაღალ დონეზე აწევისათვის. ჩვენი სამკურნალო ფაკულტეტის, მუშაკები და სტუდენტობა მხურვალე მონაწილეობას ვიღებთ ამ საერთო საქმეში. ჩვენც გამოვუცხადეთ სოციალისტური შეჯიბრება აგრონომიულ ფაკულტეტს. მოეწყო კურსთა შორისაც ინდივიდუალური და საგნობრივი შეჯიბრებანი. ყველას ნათლად შეგნებული გვაქვს შეჯიბრების მიზანი და დიდი მნიშვნელობა, მუშაობა გაცხოველებულია, ვცდილობთ ჩვენი მოვალეობა კეთილსინდისიერად შევასრულოდ და ამით ხელი შევუწყოთ კულტურულ და ნივთიერ აღორძინებას და აყვავებას.

პროფ. ივ. თიკანაძე.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადგილკომის გადარჩევისათვის

მიმდინარე წლის თებერვლის ბოლო რიცხვებისათვის განზრახულია ტფილისის სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებული ადგილკომის გადარჩევა. სახ. უნივერსიტეტში მომუშავე განათლების მუშაკთა პროფკავშირის წევრები მოისმენენ თავის ადგილკომის ანგარიშს ერთი წლისა და ორი თვის საქმიანობის შესახებ. არავის ეჭვი არ უნდა შეეპაროს მასში, რომ ადგილკომს მიღწევებთან ერთად თან სდევს ბევრი ნაკლიც.

წერილის მიზანია მოკლედ შეეხოს ადგილკომის მიერ წარმოებულ მუშაობას—კულტურულ, შრომის და უფლებრივი დაცვის საკითხებში.

მასიური მუშაობის დარგში ადგილკომს საანგარიშო პერიოდში საკმაო მიღწევები აქვს.

უნ-ტის პროფორგანიზაცია საკმაოდ დიდ ინიციატივას იჩენდა ისეთ კომპანიების ჩატარებაში, როგორიც არის მაგ. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის, შემნახველ სალაროების ერთთვიური და საგაზაფხულო თესვის კომპანიების ჩატარებაში.

ვერავინ ვერ შეგვედავება, რომ პირველი ორი კამპანია ბრწყინვალედ ჩატარდა. უნივერსიტეტის როგორც პედაგოგიურ, ისე ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი ღირსეულად გამოეხმაურა და შეუნელებლად შეიტანა თავისი წვლილი იმ კამპანიების ჩატარებაში; მესამე კამპანია, ე. ი. საგაზაფხულო თესვის კამპანია არ დარჩენილა უყურადღებოდ ადგილკომის მხრით, ამჟამად მიმდინარეობს გაცხოველებული მუშაობა ამ კომპანიის ჩატარებაში ღირსეულ მონაწილეობის მისაღებად.

დიდი წარმატებით ჩატარდა ყველა რევოლიუციონური დღესასწაულები პედაგოგიური და ტეხნიკური თანამშრომელთა მონაწილეობით.

ადგილკომის მიერ მოწვეულ თანამშრომელთა საერთო კრებები ყოველთვის ტარდებოდა მასის აქტიური უნ-ტის თანამშრომელთა მიერ სწორად იქნა გაგებული ბოლშევიკური თვითკრიტიკა. რასაც მეტი ხალისი და სიცხოველე შექონდა საკითხების გადაჭრაში. რის დამადასტურებელ მაგალითს წარმოადგენს თანამშრომელთა ის საერთო კრება, სადაც ირჩეოდა გამგეობის ანგარიში, პროფ. კეკელიძის და პროფ. ნუცუბიძის მიერ. მოხსენებამ ისეთი ცხოველი კამათი გამოიწვია მსმენელთა შორის, რომ სხდომა სამ დღეს გაგრძელდა.

კულტურულ დარგში მუშაობას უნ-ტის ადგილკომის მიერ საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ არ გაკეთებულა იმდენი, რამდენის გაკეთებაც შეიძლებოდა. ამის მთავარ მიზეზად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ადგილკომის კულტკომისია შესდგებოდა ისეთი პირებისაგან, რომლებიც „ვერ იცლიდენ“ ამ საქმისათვის და „დატვირთული“ იყვნენ, რამაც სათანადო გავლენა მოახდინა მუშაობის ნაყოფიერებაზე.

ადგილკომმა შეძლო საანგარიშო პერიოდში მოეწყო მეცნიერული მნიშვნელობის სამი საჯარო-სადისპუტო საღამო. დისპუტები დიდ ინტერესს იწვევდა როგორც უნ-ტის თანამშრომელთა, ისე სტუდენტთა შორის. ადგილკომმა ასეთივე ხასიათის მუშაობა ჩაატარა ანტირელიგიურ ბრძოლის ფრონტზედაც.

საანგარიშო პერიოდში ადგილკომმა ჯეროვანი ყურადღება მიაქცია წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლას. პირველ რიგში განზრახულ იქნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნ-ტის დაბალ ტეხნიკის პერსონალს შორის, რაც მიღწეული იქნა 80 პროც. 1929—30 წლ. პირველ სემესტრში უნ-ტში ჩამოყალიბებულ იქნა საზ-ბა „წერა-კითხვა“-ს მთავარი კომიტეტის დამხმარე საბჭო, რომელსაც დასახული აქვს თავისი გარკვეული ამოცანები.

დიდი მუშაობაა ჩატარებული ადგილკომის მიერ საშეფო დარგში. ტფილისის სახ. უნ-ტის ადგილკომი შეფობს ქართულ საარტ. ლეგიონს, სოფ. მუხრანს, პიონერთა კოლექტივს და ამ უკანასკნელად აიღო შეფობა კიდევ სოფ. ნორიოზე. ამ მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებს უნ-ტის „სოფლის და ქალაქის კავშირის“ უჯრედიც.

წითელ არმიის საშეფო ნაწილს ადგილკომი სისტემატიურად უგზავნიდა საუკეთესო ძალებს მომხსენებლებად, რომლებმაც ჩაატარეს 7 პოპულიარული ლექცია სხვადასხვა საკითხებზე. ჩამოყალიბებულ იქნა 7 ჯგუფი ლენინის, მარქსიზმის და მიმდინარე პოლიტიკის შესასწავლად, სადაც ჩატარდა 350 საათიანი მეცადინეობა. 1929 წლ. შემოდგომაზე უვადო შვებულებაში მიმავალთათვის ჩატარებულ იქნა 48 საათიანი მეცადინეობა. გარდა ამისა ადგილკომი მათ უწევდა დახმარებას მატერიალურადაც.

საშეფო სოფ. მუხრანში და ნორიოში გაგზავნილი იქნა მუშათა შემკეთებელი ბრიგადები, რომლებმაც სავსებით გაამართლეს თავისი დანიშნულება, გააუმჯობესეს კოლექტივის მდგომარეობა, რის შედეგად ღარიბებს და საშუალო გლეხობას ყოველდღიურად შექონდათ განცხადებები კოლექტივში მიღების შესახებ.

ამავე სოფელს გაეწია დახმარება ოთხი მუშა ცხენის და ერთი „ფურგონის“ უფასო გადაცემით.

საანგარიშო პერიოდში მოწყობილ იქნა ხუთი ექსკურსია ქალაქგარედ, ვლადიკავკავში, სამეგრელოში, ქუთაისში, გორში და მუხრანში.

შრომის და უფლებრივ დაცვის დარგშიაც ადგილკომს აქვს საკმაო მიღწევები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ ისეთ ელემენტარულ საკითხებზე წარმოიშვებოდა დავა ადგილკომსა და ადმინისტრაციის შორის, რომელიც თავისთავად ყოველგვარ დავის გარეშე უნდა შესრულებულიყო.

ადგილკომის მუშაობას თან სდევს ნაკლოვანებანიც, რის აღმოსაფხვრელადაც მობილიზაცია უნდა ეყოს თანამშრომელთა ფართო აქტივობას.

უნ-ტის თანამშრომლები სავსებით მომზადებული უნდა შეხვდენ მოახლოებულ არჩევნებს და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებაში, ისე თვით ადგილკომისა და მისი კომისიების შემადგენლობის შერჩევაში.

მომავალმა ადგილკომმა მიზნად უნდა დაისახოს მეტი პროფ. აქტივის შემოკრება თავის გარშემო, რათა თვითეული აქტივის მცირე დატვირთვით შესრულებული იქნას ის ამოცანები, რომელსაც ითხოვს პროფორგანიზაციების ახალი ფორმით მუშაობა.

ნიკ. ზოგია.

რეზოლიუცია

მიღებული ტფ. სახ. უნივერსიტეტის თანამშრომელთა საერთო კრების მიერ გამგეობის წარმომადგენლების მოხსენების გარშემო

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა საერთო კრებამ მოისმინა რა სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობის წარმომადგენლების, პრორექტორების, პროფ. კეკელიძისა და პროფ. შ. ნუცუბიძის მოხსენებები გამგეობის სამეცნიეროსა და სამეურნეო მუშაობის შესახებ და ადგილკომის მიერ გამოყოფილი კომისიების მოხსენებები უნივერსიტეტის აღწესებულებათა დათვალიერების შესახებ.

დაადგინეს: სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომელთა გაერთიანებული კრება აღნიშნავს, რომ გამგეობის მუშაობაში მრავალ მიღწევებთან ერთად არის შემდეგი დეფექტები:

1) ხუთწლიანი გეგმა შედგენილია გარეშე მისი დამუშავებისა უნივერსიტეტის სათანადო ორგანოებში (გამგეობა, პროფორგანიზაციები, საწარმოო თათბირი, ფაკულტეტების საბჭოები, საერთო კრება, და სხ.,-განხილული და დამტკიცებული იქნა მხოლოდ რექტორატში;

ამ გეგმაში არ არის საკმარისად ფართოდ და ღრმად დამუშავებული განათლ. კომისარ. მიერ მოწოდებული გეგმის მრავალი ისეთი საკითხები რომელიც დაკავშირებულია ჩვენი სოციალისტური აღმშენებლობის მორიგ ამოცანებთან, საერთო საკავშირო ხუთწლიან გეგმასთან.

ამიტომ, უნივერსიტეტის თანამშრომელთა გაერთიანებული კრება აუცილებლად სთვლის მის ძირიად გადამუშავებას უნივერსიტეტის სათანადო ორგანოების მონაწილეობით.

2) არ არის დამუშავებული ცეკას ივლისის და ნოემბრის პლენუმის დადგენილება, შესახებ კადრების მომზადებისა საერთო აღმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით და, გარკვეული პერსპექტივების დასახვით ამ საქმეში.

კრება აუცილებლად თვლის სასწრაფოდ იქნეს დამუშავებული კადრების საკითხი საბჭოთა და პარტიული უმაღლესი ორგანოების დირექტივების საფუძველზე.

3) ვინაიდან კადრების მომზადების საკითხი უშუალოდ დაკავშირებულია იმასთან, რომ სასწავლო გეგმებში შეტანილ იქნეს რაციონალიზაცია იმ მიზნით, რომ სასწავლო გეგმების განტვირთვით ზედმეტი საგნებიდან და ლაბორატორიული მეთოდის შემოღებითა და კაბინეტების მოწყობით შესაძლებელი ვახდეს ნამდვილი სპეციალისტების მომზადება შედარებით მოკლე ვადში, სასწრაფოდ უნდა იქნეს აღნიშნული გეგმები ძირითადად გადამუშავებული და კერძოდ დაისვას 6-წლიანი სამკურნალო ფაკულტეტის ხუთწლიანზე გადაყვანის საკითხი.

4) ვინაიდან ახალი კადრების მომზადების საფუძველს წარმოადგენს უმაღლესი სკოლის უშუალო კავშირი წარმოებასთან, ამიტომ სასწრაფოდ დამუშავდეს საკითხი სხვადასხვა ფაკულტეტების გადაყვანისა მუდმივ საწარმოო პრაქტიკაზე და კონტრაქტაციაზე აყვანილი სტუდენტების სათანადო აკადემიური ხელმძღვანელობისა.

აკადემიურ--სამეცნიერო წრეების მუშაობა

აკადემიური სამეცნიერო წრეების აქამდის სერიოზულ ყურადღებას არავინ აქცევდა. შეიძლება ითქვას „ღვთის“ ანაბარა იყო მიტოვებული. ამით, რა თქმა უნდა, რომ აკადემიური სამეცნიერო წრეებს არაფერი გაუკეთებია. მიუხედავად ნაკლები ხელმძღვანელობისა, ზოგიერთი წრეების მუშაობა ნაყოფიერი იყო, როგორიცაა საექიმო ფაკულტეტი, მაგრამ დღეს ეს არის საკმარისი, როდესაც ჩვენს წინაშე დაისვა სტუდენტთა აკადემიური დონის აწევისა და სამეცნიერო კადრების მომზადებისა, დღეს სამეცნიერო წრეებმა დიდი როლი უნდა შეასრულოს, ის უნდა გადაიქცეს მუდმივ სათავედ ახალგაზრდა სამეცნიერო ძალების მომზადების საქმეში. სამეცნიერო წრეებში უნდა მოხდეს სტუდენტობის მეცნიერული მუშაობისადმი სიყვარულის გამომჟღავნება და მტკიცე იდეოლოგიური ჩამოყალიბება. პროლეტარულ სტუდენტთა მესამე ყრილობის რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგი: „სტუდენტთა ორგანიზაციებმა უნდა გაატარონ მტკიცე ხაზი მუშების და გლეხების დაწინაურების საქმეში, იმ მუშებისა და გლეხების, რომელთა აქვთ მისწრაფება სამეცნიერო მუშაობისაკენ და სათანადოდ გამოიჩინეს თავი სამეცნიერო ტეხნიკურ მუშაობაში. ზემოდ დასახული მიზნები, რომ შეასრულოს ჩვენმა სამეცნიერო წრეებმა. ამისათვის საჭიროა მუშების მუშაობის მეტი გამოცოცხლება, წრის მუშაობით უნდა იყოს დაინტერესებული სტუდენტთა ორგანიზაცია, არამედ ფაკულტეტის დეკანატი და ზემდგომი ორგანოები. აკადემიური კომისიის მუშაობა მო[illegible] წრეებში მუშაობის [illegible] მიმართული უნდა იყოს [illegible]. წრეების ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ბინა. პედ. ფაკ. არსებობს 6 სამეცნიერო წრე და ამათში 5 წრე სრულიად უბინაო. ზოგ სამეცნიერო წრეს აქვთ თავის ბიბლიოთეკა და უბინაობის გამო ლიტერატურა კერძო ბინებზე ინახება. ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც მოხსენება გადადებულია რამოდენჯერმე აუდიტორიის უქონლობის გამო, რაც ხალის უკარგავს მუშაობას. აუცილებელია ყველა ზემოაღნიშნულ წრეებისათვის ერთი აუდიტორია, უამისოთ ჩვენი მუშაობა შეუძლებელია; აგრეთვე მომავალ აკადემიურმა კომისიამ უნდა მიაქციოს ყურადღება ბიუჯეტის თავის დროზე განაწილებას და თანხათა რაოდენობას, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს ფართო მნიშვნელობის ექსკურსიების მოწყობის და ლიტერატურის შეძენის. წრეების მუშაობის გაღრმავების მიზნით, საჭიროა საერთო პერიოდულ ჟურნალის გამოცემა, სადაც გაშუქებული იქნება ცალკე სამეცნიერო წრეების მეცნიერული მუშაობა. ეს აუცილებლად წაახალისებს წრის მუშაობას. გამგეობის გადარჩევები უნდა ხდებოდეს სამოსწავლო წლის დასაწყის. უნდა მოხდეს ცალკე წრეებს შორის კავშირის გაბმა, მით უმეტეს მონათესავე წრეებს შორის სოც. შეჯიბრთან დაკავშირებით. ეს მისცემს მუშაობას მთლიან გეზს და შეასრულებს წრეების ნამდვილ მოვალეობას.

ქ. მეძველია.

როგორ მიმდინარეობს უტილ ნედლეულის შეგროვება სახელმწიფო უნივერსიტეტში

უტილ ნედლეულის შეგროვებას სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირი შეუდგა ა.-წ. 15 იანვრიდან. საკითხი დამუშავდა ბიურო-კოლექტივში, რის შემდეგაც გადატანილ იქნა გაერთიანებულ ღია კრებაზე. არჩეულ იქნა სამეული საერთო ხელმძღვანელობისათვის და ცალკე უჯრედებში კი გამოიყო ორგანიზატორები. ჩამოყალიბდა დამკვრელი ბრიგადები, რომელნიც აგროვებენ კოლექტიურათ უტილ ნედლეულს. ჩატარდა გამოწვევები, როგორც უჯრედებს შორის, ისე ბრიგადებს და ცალკე კომკავშირელთა შორის. კომკავშირის მასა დიდი აღფრთოვანებით შეხვდა ხსენებულ კამპანიას და თავის მთელი ენერგიით აგროვებს ნედლეულს. სულ დღემდე დაგროვილი არის 1.500 ფუთი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ უპარტიო პროლეტარულ სტუდენტობის დიდი ნაწილიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ნედლეულის შეგროვებაში. არის მასიური შემთხვევები, რომ თითომ მოიტანა 30—40 ფ.-დე. ერთმა სტუდენტმა უპარტიომ, სენაკიდან ჩამოიტანა სამი ფუთი უტილი; აღსანიშნავია, ის გარემოება, რომ არც უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და არც სტუდენტთა ორგანიზაციებს ფაქტიურად ამ დარგში არაფერი გაუკეთებიათ. ადმინისტრაციის წარმომადგენელ — სამნეო ნაწილის გამგე ამბროსი გაბიძაშვილი პირიქით, ხელს გვიშლის უტილ ნედლეულის შეგროვებას თავის ბიუროკრატიულ მიდგომით. მაგალითად, როცა ამას ეუბნებიან, რომ პარტბიურო კოლექტივის დადგენილებით კომკავშირს უნდა მიეცეს ცხენები — ფურგუნით ერთი-ორი დღით. ის აცხადებს, „ასეთი პრაქტიკა არ არის, რომ უტილის შეგროვებაზე სამნეო ნაწილი ტრანსპორტს აძლევდეს“-ო და როცა მას ეუბნებიან, რომ ამას პრაქტიკა არ სჭირია, გულუბრყვილოთ აცხადებს, რომ „ცხენები დაუჭედელნი არიანო“; ეს იმ დროს, როცა ცხენები ეტლით იმ წუთშიაც აბიან და საუცხოვოთ მუშაობენ. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთ ბიუროკრატიულ მიდგომას საკითხისადმი ბოლო უნდა მოეღოს. კომკავშირის მასა და უპარტიო პროლეტარული სტუდენტობა, ენერგიას არ ზოგავს, დააგროვოს უტილ ნედლეული და აქ მათ ესაჭიროება დახმარება ადმინისტრაციის მხრივ და არა ხელის შეშლა.

ვ. მეტრეველი.

სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელობის კოლექტივი

ვიწონებთ რა პარტიის მიერ გადადგმულ ნაბიჯს სოფლის დაქუცმაცებულ მეურნეობის მსხვილ სოციალისტურ მეურნეობად გარდაქმნის შესახებ, ჩვენ, სოფელ ოგუჯის, (ზუგდიდის მაზრა) მცხოვრებნი, 457 კომლის შემადგენლობით, გადავედით მთლიან კოლექტივიზაციაზე; საწარმოო იარაღით, მანქანებით, მუშა-საქონლით და მიწების გაერთიანებით. კოლექტივს დაერქვა სახელად „სახელმწიფო უნივერსიტეტის“ სახელობის კოლექტივი. ოგუჯის მშრომელი მოსახლეობა მტკიცედ სდგას პარტიის და ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნის ცხოვრებაში განხორციელების სადარაჯოზე და ვიმედოვნებთ, რომ მშრომელი მასის შვილების აღმზრდელი სახელმწიფო უნივერსიტეტი გაგვიწევს სათანადო ხელმძღვანელობა - დახმარებას

კრების პრეზიდიუმი.

8 თებერვალი, 1930 წ.
წალენჯიხა.

ჩვენი პასუხი ოგუჯის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს

სოფელ ობუჯის სასოფლო-სამეურნეო კოლექტივს. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროლეტარული სტუდენტობა და პედპერსონალი ესალმება თქვენ გარდაწყვეტას მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ; მთელი საქართველოს მშრომელი მასები და საბჭოთა საზოგადოებრიობა თქვენი თანამშრომელი იქნება თქვენი მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნის საქმეში. უნივერსიტეტი გპირდებათ აქტიურ დახმარებას.

გამგეობა.
პარტბიურო კოლექტივ.
ადგილკომი.
ალამსბიურო.

ქრონიკა

— ტ. ს. უ. გამგეობამ დაადგინა: 1. ამხ. პეტრე შარია მოწვეულ იქნას ისტორიული მატერიალიზმის კათედრასთან.

— გამგეობამ დააკმაყოფილა სოციალ - ეკონომიური ფაკულტეტის დეკანატის შუამდგომლობა, ამხ. ერქომაიშვილის ნაშრომის „კოოპერაციის მოგების თეორიული საფუძვლები“-ს დაბეჭდვისა და გამოცემის შესახებ.

— სტუდენტთა კონტრაქტაციისა და საწარმოო პრაქტიკის ხელმძღვანელად გამგეობამ გამოჰყო ლექტორი მოსე გოგიბერიძე.

— თვითმფრინავ „გონებრივი მუშაკი“-ს ფონდის გასაძლიერებლად გამგეობამ გაიღო 500 მანეთი.

— სამკურნალო ფაკულტეტის საბჭომ დაადგინა: დოც. ასპისოვი არჩეულ იქნას ცხვირის, ყელის და, ყურის სნეულებათა პროფესორად და ამავე კათედრის გამგეთ.

— ჰისტოლოგიის კათედრის გამგედ არჩეულ იქნა პრივატ-დოცენტი ს. საყვარელიძე, დოცენტის თანამდებობით.

— ექ. ვაწაძე არჩეულ იქნა ფიზიოლოგიის კათედრის გამგედ.

— ალმასბიუროს დადგენილებით, 10 თებერვლიდან ჩატარდება სამეცნიერო - კულტურულ და საკლუბო წრეების გადარჩევა.

— თესვის კამპანიასთან დაკავშირებით ალმასბიურომ დაავალა სამკურნალო და სოციალ - ეკონომიური ფაკ. პროფკომებს — ცენტრალურ გამგეობებთან შეთანხმებით მიავლინონ სოფლად 20 სტუდენტი.

— სოც. ეკონ. ფაკულტეტის დადგენილებით, სტუდენტები, რომელთაც სტიპენდია აქვთ, ან კონტრაქტაციაზე არიან აყვანილი, ვალდებულია იარონ ყველა ლექციებზე და პრაქტიკულ მეცადინეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოეხსნებათ სტიპენდია და მოხსნილი იქნებიან კონტრაქტაციიდან.

— ეკონომიური დარგის მე-4 კურსის სტუდენტები ვალდებული არიან 15 თებერვლამდე გატარდენ რომელიმე განხრაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკარგებათ სასწავლო წელი.

— სოც. ეკონ. ფაკ. საბჭოს დადგენილებით, კურსის დამთავრებულნი ივანე ძაძამიძე და ნოე ჭინჭარაძე დატოვებული არიან ასპირანტებათ.

— ტ. ს. უ. ადგილკომის დადგენილებით ამ დღეებში მოწვეული იქნება პროფესურის და სტუდენტობის კონფერენცია სოციალისტურ შეჯიბრების საკითხებზე;

— ტ. ს. უ. მთლიანად გადავიდა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე; მეცადინეობა ახალი ცხრილის მიხედვით:

— ადგილკომის დადგენილებით, გამოიყო საინიციატივო ბიურო, უნტ-ში „მებრძოლ უღმერთოთა“ უჯრედის ჩამოყალიბების გარშემო. საინიციატივო ბიუროს თავმჯდომარეთ გამოყოფილია პროფ. კ. კეკელიძე.

— : —

მეტი ყურადღება ფიზკულტურა

უნივერსიტეტის ორგანოში წერა ფიზკულტურის მნიშვნელობაზე მგონი, რომ საჭირო არ უნდა იყოს, მაგრამ უნივერსიტეტის მმართველობის მიერ ამ საკითხის სავსებით მიჩქმალვა გვაიძულებს, ორიოდე სიტყვით შევეხოთ ამ საკითხს. არ არსებობს არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, რომ ამ საკითხს არ აქცევდეს ჯეროვან ყურადღებას და მით ხელს უწყობდეს საღი გონების და ფიზიკურათ ჯანმრთელ კადრების აღზრდას. იქნებ გონიათ, რომ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა არ ზრუნავდეს ამ საკითხზე, პირიქით, გამგეობამ ფიზკულტურა სასწავლო გეგმაში შეიტანა. სხვა არაფერი. საკითხავია გადაწყდა თუ არა ამით ეს მტკივნეული საკითხი, სხვას რომ თავი დავანებოთ, სახელმწიფო უნივერსიტეტის დაახლოვებით ხუთი ათასი სტუდენტობას ხუთასამდე თანამშრომლებს ერთი ოთახიც კი არ აქვთ სექციების სამუშაოთ. უნივერსიტეტმა დღემდე ვერ შესძლო ერთი დარბაზი მაინც მოეწყო ამ დიდ საქმისათვის.

უნივერსიტეტის მმართველობის წყალობით ყოველ სეზონური მუშაობა ამ დარგში სავსებით მივიწყებულია. ჩვენის აზრით ასეთი მდგომარეობის გამოუსწორებლობა დიდ ბოროტებათ უნდა ჩაითვალოს და გამგეობამ სასწავლო გეგმაში გაითვალისწინა ეს საკითხი, საჭიროა იზრუნოს ფიზკულტურის დარბაზის შესაქმნელად და მოსაწყობად.

ადამ ვაჩნაძე.

(დარჩენილი წერილები—შემდეგ ნომერში)

პასუხისმგებელი რედაქტორი:
სარედაქციო კოლეგია

მე-5 სტამბა. კამოს ქუჩა № 68. ტირაჟი 500 მთავლიტი 325,